ისევ მარტოა ამ ქვეყანაზე. და უცებ შეჰქმნა, საშინელი გრვეინვა, ცის დამაყრუებელი საზარელი გრვეინვა.

ვაჰ რათ გასცვალა უდაბური მხარე კობტა მთა ველზე, თუ კი მარტო დარჩებოდა თავის ვეფხობით.

**უპანასწნელი იმართო.**

გალრწავდა ვეფხვის ბუნაგი მარტობის სიმძიმით. თითქოს ეს ქვეყანა უნდა ყოფილიყოს სამშობლო ვეფხვისა. მაგრამ მისთვის უცხო არის.

იგი მარტოა. ობოლი. უტოლო. ან რათ არის ესე ლამაზი, ესე ამყვი, ესე ძლიერი? აგერ მოდის ახალი ჯოჯი ხარებისა.

ვეფხვი ვერ უძლებს ჯოჯის დანახვას: მას იმ წუთაში აღძვრის ეინი თავზარი დასცეს, მივარდეს, დაგაიჯოს.

გადაეშვა კიდევ ჯოჯში. დაწინაურებულ ხარს მოახტა ზურგზე და მოწყვეტით დაანარცხა მიწაზე.

სხეები გაიქნენ. შერჩა ეყლ-გამოღარდული ხარი.

ეინი მოიკლა სისხლიან თბილი ხორკით და მიწვა იქვე ჩირვვის ძირათ.

**სიკვდილი.**

გიორგობის თევა. სიცივის პირველი სუსხი იგრძნო ვეფხვმა.

მარტობა და სიცივე სამხრეთის მზეზე გამკვირცხლებულ ნადირს ეუცხოვება.

ნუ თუ საქართველოში ესეთი მარტობა და სიცივი უნდა ეწეროს ვეფხეს.

წეეს შავ-წითელი მარმარილოს ზოდევით უზარმაზარი ნადირი.

მარტობით დამძიმებული თავი ტორებში ჩაუმალა და გასცქერის საქართველოს უვეფხობით გატიალებულ არე-მარეს.

უცებ რალაცამ იქება. ეს ხმა ვეფხვისთვის უცნობია. მაგრამ ეს ხმა მაინც ბრძოლის ხმა არის.

წამოხტა ზეზე. მაგრამ კიდევ იქება საზარლათ და უკანა ფეხი მოვარდა ვეფხეს.

იგი ცალფეხით შედგა ყალზე და მორთო გმინვა. გახელბული ვეფხვი იცქირება ირგვლივ. ტრილოზს ცალ ფეხზე. ეძებს მტერს, რომ ეძგერის იმ მხარეს. მაგრამ ურნარი ტყეები სქევენ და ზუზუნებენ მის გარშემო.

აგერ კიდევ მოხდა მკერდში. წინა თათში. მუცელში. ბეჭში.

საშინელის სულგამწარებითა ტრიალებს ჰვარში ვეფხვი. ბღღვის ჩირვებს, დედაიწის. მაგრამ მრავალგან დაკოდილი ვეღარ გადადის საიერიშო ნახტომებზე.

ვერც თუ მტრებს ხედავს ვერაგულათ ჩასაფრებულებს.

ძლიერ ვეფხეს მუხანათურად ნასროლი ტყვია აუძლურებს.

იგი მაინც გააფრთხებული ტრიალებს ყალზე და ეძებს მტერთან შეკვიებებს. სიკვდილის წინ ერთ შეკვეთებს.

ამ დროს მის გაშლილ შუბლსაც მოხვდება ტყვია და ვეფხვი უსულოთ ეცემა ძირს.

მოკვდა ვეფხვი.

ერთად-ერთი ვეფხვი, რომელიც ას წლების განმავლობაში ძლივს ეწვია ჩვენ ქვეყანას, ვერ შევიფრეთ.

საქართველოს აღარ უყვარს ცოცხალი ვეფხვი. მას ეზინია ვეფხვის, თუნდაც ერთის.

და მოჰკლავს უკუღმართად. არ დაინდობს მის სილამაზეს. მის მარტობას და სიძლიერეს.

მოჰკლავს და გაგზავნის ეროვნულ მუზეუმში, რომ შემდეგ აღტაცებით უცქეროდეს მის მკვდარ სილამაზეს.

ასეთია ბედი ერთი ვეფხვისა საქართველოში.

ლევ. მეტრეველი.

**ლ ე ნ ა**

(მეცამეტე ციკლი პოემიდან: „ეშაფორტი“)

1912 წელი, 4 აპრილი... ოქროს ტიგა, პარილით, და სხვა გაგება; ლურჯ ხალათების აჯანყება, ფაფარ — აყრილი და მარადიულ ბრძოლებით ძღვეის აჯენა!..

ტყვია... გინება... ძველი მშის ყინვა... სისხლიან დროშის დაღვლითა და გაქანება; რევოლიუტია თავებდი... ციმბირი... ბრწყინვა და ეშაფორტე ჯალათის აქაქანება!..

შორი სივანლი... თეთრ ფონზე წითელი წყევა... თავისუფლება... ურავანი და წვა ცხელ ენის; გიჟ იალქნებზე არკინული სამყაროს რყევა და ამბოხება ურჩ ქაქებზე... ყვილი ლენის!..



თავისუფლების მსხვერპლი.

ნახ. დომესი.

სეზმან ერაწმინდელი.



# კინოს მსახიობნი

## I. მერი პიქფორდი.

თუ პირველ ხანებში კინო მთლ ანად თეატრის მსახიობებზე იყო დამყარებული, დღეს იგი თითონ ამჟამად ისეთი დიდი სახელებით, როგორც: მერი პიქფორდი, ნორმა ტოლმეჯ, პრისცილა ლინ, ჩარლი ჩაპლინ, ჯეკი კოჯან, კონდარ ფეილტ, პაულ ვეკენერ, ემოლ იანგს, ალფრედ აბელ, მია მაი, ნილსენ, პოლი ნეგრი, ვერნერ კრაუს და მრავალი სხვები არის.

ნებაა. აქ მსახიობს მოეთხოვება არა ის, რომ გამოვიდეს ლამაზად ფილმზე, შესაძლოს ტრაგიკის გაკეთება, უფენის გმირობის და სისწრაფის სასწაულები, არამედ საჭიროა თამაში, განცდა, რომელიც უსიტყვიოდ, უჩუქტოდ უნდა გაიგოს ყოველმა მყურებელმა. მას ქეშმარიტი კინო-მამია უნდა ჰქონდეს. კინო-მსახიობმა ბაგეათ ერთი მოძრაობით, თვალების ერთი დახუჭვით, თავის ერთი დახრით, გავლის ერთი მომენტით უნდა აგრძნობინოს მყურებელს ყოველივე ის, რასაც განიცდის თვით.

და ამ უქანასკნელ რანგის კინო-მსახიობთა შორის თავის ფენომენალურ გაქებით ერთი უშესანიშნავესი ადგილთაგანი უქარავს, როგორც ბრწყინვალე ვარსკვლავს მერი პიქფორდს.

მერი პიქფორდი ცერანჯ გვევლინება მაგიურ არღე კინო, საკვირველებით, თავისებულობით და ყოველ მხრით უჩვეულო და ადგილობრივი ტალანტით. პირველ ყოვლისა ის ფსიქიურად ჯანსაღი ადამიანია, რომელსაც ახასიათებს შემოქმედების მაღალი ნიჭის გაგება, შეთვისება, განცდა და გადმოცემა. შემდეგ მსახიობის დაკვირვება, ნაზი ხელოვნება საზღვრებს ყოველთვის მის ასრულებას. პიქფორდს უჩვეულოდ შეუძლია შეასრულოს სანტიმენტალური როლები. მის მიერ მოკეცილი ქალის მსუბუქი სიცილი და ცრემლები ყოველთვის გარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს დიდ ფენომენტთან და პატარა მერის (როგორც მას ხშირად უწოდებენ ამერიკაში) შემოქმედების მთელი ლეგი-მოტივი, რომელსაც რამოფინიმე ათეულმა მილიონმა ადამიანმა მიუტანა თავის გამთბარი სიყვარული და გატაცება, — ეს არის, რომ მას თავის განკარგულებაში აქვს „მუღმივ ახალგაზრდობის“ საიდუმლოება. დამწვიდებით შეგვიძლია ის ვათამაშოთ ცხრა წლის „ვენდერ-კინდ“ ჯერ კოჯანთან და ვერაინ ვერ შვატკობს, რომ ერთ როლს ასრულებს ნამდვილი ბავშვი და მეორეს კი დიდი ხნის ადამიანი. როდესაც ის ასრულებს უპატრონო, ღარიბ ბავშვის როლს იღენათ მოქმედებს, იტაცებს და იმორჩილებს თავის ჯადოქარულ თამაშით, რომ მყურებელს თვალთავან ცრემლები სცივია მის საბრალო ბედზე, და როდესაც ის ხატავს მდიდარ მილიარდერს, მყურებელი სიხარულშია „Our sheet Mary“-დან.



კ. მარჯანიშვილი.

ნახ. ვ. ლებედევასი.

კინოს მსახიობნი ორ უმთავრეს ჯგუფად იყოფიან: მსახიობნი, რომლებიც მხოლოდ გადაიღებიან და მსახიობნი, რომლებიც თამაშობენ.

იღებიან დედექტიურ, ავანტიურისტულ ფილმების მსახიობნი, რომლებიც ფიგურებთ თამაშობენ. მყურებლებს ისინი აძლევენ მხოლოდ ფეაურებს, მოძრაობის განსაზღვრულ პლასტიკას. ფსიქოლოგიური თამაში, განცდები მათთვის შორეული ნაპირებია. სამაგიეროდ საჭიროა მათთვის 99%, ტრიუკების ცოდნა.

უფრო საინტერესოა და საყურადღებოა კინო-მსახიობნი, რომლებიც თამაშობენ. აქ უკვე უქმშარიტი ხელო-

ბრუნდება მდიდარ მილიარდერს, მყურებელი სიხარულშია „Our sheet Mary“-დან.

დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ: მერი პიქფორდის გამარჯვება სწორედ მის ზერელობაშია. მას არ აქვს ამჟღავნება, არ აქვს ყანარი.

დაწყებული ქუჩის ბავშვიდან, ფარა ისტადან, რომელიც სცივრავს და იბრძვის კოვბოებთა შორის და გათავებელი მდიდარ ასულთან, შანსონეტის მომღერალი — მას ერთგვარადა ემარჯვება.

და მთელი მისი ფილმები ამ გვემაზე და იღვავება





აგებული. ის არას დროს არ დაგთანხმდებათ, რომ შეასრულოს წმინდა სიყვარულის შინაარსზე აგებული ტრალიკული რწმენები. მისთვის აუცილებლად საჭიროა ისეთი სიუჟეტი, რომელიც იძლევა ფართო დინამიკას უპატრონო ბავშვიდან ვიდრე ბრწყინვალე საზოგადოების წრემდე. და ასეთი ხასიათის როლებში შესრულებაში მას ჯერჯერობით მოციულ არა ეპას...

**II. ჩარლი ჩაპლინი.**

ჩარლი ჩაპლინი, - რუსეთით არტიტული ინდივიდუალობა, სახელი, რომელიც ბევრს აშბობს.

აკრობატის, ფოქსნიკის და კლოუნის სახელით შეიჭრა ლონდონის შვილი კინოს ასპარეზზე.

შემოქმედების კონცენტრაცია, ინტენსიობა, ვადმოცემის ძალა, გამოსახულების ენერჯია, აი ბრწყინვალე თვისებები ჩაპლინის ნიჭია. ველები თუ არა მე-ო, ამბობს ლუი დელიუკ, - როდესაც ვფიქრობ, რომ ჩაპლინი არ არის შარლო. ყოველ შემთხვევაში მე ბედნიერი ვარ ვიცოდე, რომ შარლოს ტიროდა, რაც მას არავისთვის უთქვამს. მოუსვენარი, თითქმის მელანქოლიური, მაგრამ დაფიქრებული გამოხედვის ჩაპლინის სახე გვეუბნება, რომ საქმე გვაქვს გენიალურ თვისების იუმორისტთან. მისი სიცილი არა გავს ჩვეულებრივ სიცილს, არამედ უფრო ღრმაა, უფრო საძნელო. შარლოს ნიღაბებში თანამედრობის მრავალსახიანი პრბიტივია. მისი მთელი ცხოვრება სურათებშია ჩაქსოვილი, სიდიდანვე მაყურებელი გაიგებს ჩაპლინის მხიარულებასთან ერთად მის მრავალ მწუხარებას...

17 წლის ჩაპლინს უხდება შესვლა კარონის ცირკში მ-გზაურ დასში, რომელიც იმყოფებოდა ხან ინგლისს და ხან ამერიკაში. ჩარლი ხდება პირველი მიმი.

1913 წ. პირველი სტუმრობა ამერიკის ეხლანდელ კინო წარმოების ცენტრში, - „ლოს-ანჯელეს“-ში იგი და შეხვედრამაკსინეტთან, რომლის დახმარებითაც ის იწყებს მუშაობას კინემატოგრაფიაში. მისი პირველი სურათი „Charlie at work“. 1919 წლიდან სურათების განუწყვეტელი სერიები: „შარლო მხიარულობს“, „შარლო ბოქსერი“, „შარლო მძარკველი“, „შარლო მამწანა“, „შარლო ცოლს ირთავს“, „შარლო მიუზიკ-ხოლოში“, „შარლო მემუსიკე“, „შარლო ცეცხლის შქობილი“, „შარლო ჯარისკაცი“. უკანასკნელად „პილიგრამი“ და ჯეკი კოვანის მონაწილეობით „ბავშვი... უდაოა, რომ კინოს იდეალი ინტერნაციონალიზაა. და ჩაპლინი-ინტერნაციონალი მსახიობია. მას იცნობენ და უყვებიან ქვეყნიერების ყოველ ნაწილში, სადაც კი გაიქცევა მისმა მავიურმა თამაშმა.

**III ჯეკი კოვანი.**

„რა პატარა ბავშვია, რა კარგად თამაშობს“ აი, რა სიტყვები შეიძლება გაიგონოს მაყურებელმა ჯეკი კოვანის მონაწილეობით დაღმულ სურათების ნახვის დროს. განა შესაძლოა 8-10 წლის ბავშვა კემპარტილ

ითამაშოს? ქონდეს დიდ მსახიობის მიმიკა, უესტი, გადმოკემა? ერთის შეხედვით ეს გვეჩვენება შეუძლებლად, მაგრამ როდესაც იხილავთ მას, რომოდენიმეჯერ სურათში, დარწმუნდებით, რომ ის კემპარტილ თამაშობს, სცხოვრობს ეკრანზე. სანიშნოა ამ შემთხვევაში პირველი მისი ფილმი „კინდ“, სადაც თითოეულ მის მოძრაობაში მოსჩანს შემოქმედებითი გაჯანების დიდი უნარი. კოვანის როლების ასრულებას ყოველთვის თან ახლავს სრული ბუნებრიობა, სიკაცხე, გამკრიახობა, მრავალფეროვანება, რითაც ის ბევრათ წინ უსწრებს კინოს მრავალ „ვარსკვლავებს“.



ი. ფალიაშვილი. ნახ. ვ. ლებედევსკი.

აღბათ კინოს ყოველმა მოყვარულმა იცის თუ რაოდენათ მვერი უნდა მისცეს მსახიობმა, რომ უაქსესუაროდ, მისიურ სცენების, რაულ ფაბულის გარეშე შექმნას საინტერესო და საყურადღებო სურათი. ჯეკი კოვანი ერთი ისეთი მსახიობთაგანია, რომელსაც ყოველთვის შეუძლია, მხოლოდ თავის თავზე დამყარებით მოგვეცეს კარგი სურათი.

ჯეკი კოვანის ტალანტი ჯერ მილიანად არ გაშლილა. ის ჯერ კიდევ მომავალშია.



# მ ა ნ ღ ი ლ ი.

ხევსურული აზბავი\*).

## I

ლულის ძირს, სალი კლდეები  
 არაგვს მუჟაში სწურავენ,  
 არ უნდათ ქვეით გაუშვან  
 გზას უღობავენ, სეჟკავენ,  
 თავე-პირზე ყვაილს აყრიან,  
 როგორაც ნისლით ჰბურავენ;  
 ტანზე აცვამენ ბექთარსა,  
 თავზე მუზარადს ჰბურავენ.  
 ეფერებიან პირმშოსა,  
 ალერსს უძღენიან ხარბადა:  
 არ უღალატოს ხევსურეთს,—  
 იაროს გარეწარადა,—  
 წასული აღარ მოვიდეს  
 კლდეების გასამზარადა.  
 თუ მას არ ჰხედვენ შთა-კლდენი,  
 ხომ დახლებიან ავადა,  
 იმათ აწყო და მყობადი  
 შაიმოსება შავადა.  
 უმისოდ, არაგვს ჩეუღთა,  
 რა უხარიან საწყლებსა?!  
 ვინღა უმღერებს სიმღერას,  
 ვინღა უამბობს ამბებსა?!  
 თუ არაგვს თვალთ არ ჰხედვენ,  
 დაიხოცავენ თავებსა!..

## II.

დღეს სხვა სანახავს უქცერენ,  
 სხვასა ფიჭობენ ასენი,  
 ხამად არ ჰხედვენ ამ სურათს  
 იგი კლდენი და რიყენი.  
 რაც უნახიათ, თავზედა  
 ბეწვი არა აქეთ იმდენი:  
 შაყრილან ვიწრო ბილიკზე  
 ვაეკაცნი სახე-მქისენი,  
 იმათი ხმლების პრიალი  
 კლდეებს აშუქებს შუქითა,  
 ერთუროსი მახვილით ჰგმირავენ  
 თან ჰქოლვენ ბაქი-ბუქითა;  
 ცხენები დარახტულები  
 მიმდგარან კლდეთა ყურესა,  
 ვერ აშველებენ მოჩხუბრებს,  
 ათამაშებენ ყურებსა,—  
 სღუმან, თუმც თრითან როს ხედვენ  
 პატრონის ტანზე წყლულესა.  
 მებრძოლნი ერთი მეორეს  
 კვლავ უსწორებენ გულესა,—  
 მაშ ხომ ზურგს არ უჩვენებენ,  
 თავზე დაისხმენ მწუფესა?!  
 ერთ-ერთი უნდა წაიქცეს,  
 უნდა დასუსტდეს მაინცა.

გაბრუნვა სიკვდილსა სკარბობს,  
 სოფლად იტყვიან: „გაიქცა“,  
 ხომ დაიშარხა ცოცხალი,  
 გვარიც წაწყვიდა, თავიცა.  
 არაგვინა სჩანს მეშველი,  
 მებრძოლი ჩაუღდეს შუაზე;  
 მბრკვენივან ხმლებს შავკვლეინოს  
 ფხიანი პირი უჭაზე.  
 არაგვინ მოდის ჰალაზე,  
 კაცთავან მგზავრი გამწყვდარა.  
 ალტყინებული ვენებები  
 მულეღარებს, როდი დამდგარა.  
 მხოლოდ გზას იქით კლდებზედა  
 ასული ვინმე შამდგარა,  
 ძროხებს არ უღდებს ის ყურსა,  
 აქეთ უჭირავ თვალები,  
 აღდევნებს თვალ-ყურს, თუ როგორ  
 მუშაობს მებრძოლთ მკლავები.  
 სწუხს, სასიკვდილოდ რისათვის  
 გადაუღვიათ თავები:  
 ქალის გარშემო ბევრია  
 ათასნაირი ყოილი —  
 სამოთხიდანა ამ ქვეყნად  
 პატარძლად გამოთხოილი.  
 თვით ყოილია ესეცა:  
 უფრო ლამაზი, ბრკვერიალი;  
 შიგ-ლინკალებით მორთული  
 გოგო თვალ-შურთხი, ცქრიალი.  
 დისკეერის ეაეკათ ბრძოლასა  
 თვალ-ცრემლიანი, მტრიალი.  
 სიპატარავე უშლიდა  
 გოგო არ აემკვირადა.  
 ისიც იცოდა მეშველად  
 მანდილი გამოღვებოდა;  
 ღედისგან ჩხუბის წამლად  
 ბეგრჯელ მანდილი ჰშენოდა,  
 მაგრამ საკუთარ მანდილი  
 ღირსება არა სჯეროდა.  
 რადგან ჯერ პატარა იყო,  
 მის გამოჩენა სცხენოდა.  
 შეკრული ნაწნავებითა  
 მერე როგორა ჰშენოდა!  
 კარგა ხანს თავისთავადა  
 მებრძოლთა გაყარს ელოდა,  
 ვაეკაცი მოყურაიღეს  
 როდი ამჩნევდენ ახლოსა.  
 ერთმანეთს ეუბნებიან  
 სათქვემსა ვასაბრაზოსა.

## შ ი შ ნ ი ა.

შენ სთქვია, ძაღლო უშიშავ,  
 შიშნაისა ტრელობა!)

\* ეს დაუბეგდავი პოემა ვაჟა-ფშაველამ ორი წლის წინდ  
 სიკვდილმდე დასაბეგდათ გამოეგზავნა პოეტს სანდრო შანშიაშვილს,  
 რომელმაც გადმოსცა „დროშის“ რედაქციას.  
 რ ე დ.

1) ლარობა, სიმხალე.



ხეცურნი ჩემზე აცინენ,  
საყდანს რო გჭონდათ ყრილობა!  
„რო ვწევდე ყალიონასა  
„არ გამოვიღებ პირითა,  
„შიშნია ხმაღს რო მიჩქედეს  
„იმის ხმაღის შიშითა:“  
და სამკდრო-სასიცოცხლოდ  
მაღლა ასწია მახვილსა.

**უ შ ი შ ა.**

ვერ ათქმინებ სიტყვის  
შენ არმინდაის?) გაზდილსა,  
ეთქვი და არც დავიარავემ,  
მითქვამ და ვიტყვი ნამდვილსა  
სწორად ეგრეა: ვადარებ  
ღიაცსა ნამუსს ახდილსა!  
ხახმატსაც ვეტყვი ხახმატელთ,  
ამასვე ვიტყვი შატილსა.  
უპასუხებდა უშიშა,  
თან უმარჯვებდა მახვილსა—  
შიშნის სინად ქვეულსა  
ხმაღ-მომარჯვებულს, ახრილსა.

**III.**

და როცა მებრძოლთა ხმლები  
გადაიხლართენ ჯვარადა,  
პატრონებისგან მიძღვნილი  
ფხა ვადექციით ჯვარადა.  
ვინ იცის, რა მოხდებოდა,  
თუ ამ დროს მებრძოლთ წამლადა  
ხმლებისა ჯვარედინშია  
როგორაც გველი შავადა  
წყემსის ქალის მანდილი  
არ შაქრილიყო ზავადა.  
უთუოდ ვაეკათა ბრძოლა  
გათავებოდა ავადა,  
ომს ფერი ჰქონდა ისეთი,  
ხმლები ელავდენ მწვავადა.  
ესე სურათი არავგმა  
მეის აღიბეჭდა მკერდზედა,  
იქიდან მირონცხებელი  
გადიბეჭდა კლდეზედა,  
კლდიდანა გამოსხლეტილი,  
გაცურდა რიყე-ველზედა,  
შეჰყვა ტყით ბურივოს შთის კალთას,—  
გადაიარა ტყეზედა  
და დაჯდა ბებერ არწივად  
მაღალს, ციდასულს სერზედა.  
მებრძოლთ მანდილის მწახველთა  
ხელი გაუხმათ ხმლებზედა.  
თვალი მიაპყრეს იქითვე,  
მზე რომ ნათობდა გვერდზედა,  
ხელემ გამოილი ხეწნითა  
გადმიმდგარიყო კლდეზედა.  
ანგელოზს ჰვანდა ციურსა  
ერთის შეხედვით ფერზედა,

\*) დღას აკვებებს.

„დაშოშინდიოთა“, მტრალი  
ევედრებოდა მხედრებსა,  
ხატს და ღმერთს ცალკე უგზავნის  
სათხოვარს, შესვედრებებსა.

**IV**

მოულოდნელმა შემთხვევამ,  
მანდილმა ციდან სრულმა  
ვაეკაცი ხმაღთ დასამშვენებლად  
ყელ-ჩინად\*) შემოხვეულმა  
დააშოშინა მებრძოლნი  
და დაუმა ენებანი,  
ხმლები ჩაავეს ქარქასში,  
ცხენებზე შესხდენ მხედარნი,  
ქვანი დასტოვეს, ქვიშანი  
თვის სისხლთ შენაღებარნი;  
წავიდნენ თავ-თავისადა  
მოუქარნი, მკვებარნი.  
მისცეს გირაოდ გაყრის დროს  
ერთუროს სიტყვები მუქქარნი.  
მეორე-ჯერა შაყრისთვის  
ვაეკათა ამაგზნებარნი,  
წავიდნენ, მაგრამ ორივეს  
გულში ეს დარჩად ნაკლად:  
ვინ არი გამარჯვებული  
დამარცხებულის ნაცულად?  
რომელი სჯობდა ომითა  
კარგი დედა ჰყავ გამხლდადა,  
რომლის ნაჭრევეც ბევრია  
მჯობი იგია აღბნა,  
წყულულებიც მსუბუქებია,  
მოსარჩენები მარდადა.  
ამას ექიმი ვაიგებს  
და გამოარკვევს კარვადა.  
მხოლოდ მან განგებ სიტყუით  
არ დააბნელოს ნათელი  
და არ წაართვას ძალადა  
ვისაც ეკუთვნის სახელი.  
სიმატილითა სთქვას თემშია  
წყულუი ვისა სჭირს რამდენი,—  
ვინ არი მართლა ვაეკაცი  
და ვინ ლაჩრობის ჩამდენი.

**V**

დღეობა იყო გუდანსა,  
გუდანის ჯვარის ხატობა;  
არაყის სმა და ლუღისა,  
ხსენება ღვთისა, ტაბლობა.  
ლხინი აცის და ქალისა  
ხეცსურთ შვილების გართობა.  
არავის არ დაეძრახვის  
ამ დღეს ქეთი, დათრობა;  
ადღეგრძელებენ ცოცხლებსა  
მკედრებს შაეთლება მანდობა.  
არავის ძალუღს ხევისბრისა  
რომ აქ გასწიოს ბაღლობა.

\*) ჩინ-მერდნი.



იგია გამგე დღეობის,  
 იმას ეკუთვნის სარღობა,  
 უნდა მან დამწყალობნოს  
 ყველა,—ხატს უთხრას მადლობა.  
 ხალხია დამწყალებული,  
 შავს ლულსა მჰეამენ თასებით;  
 ვერაინ იტყვის სამღერავს,  
 ყველას უესებენ აესებით.  
 აესილა ხატის მიდამო  
 კაცით და დედაკაცებით.  
 ხევისბრის ლოცვა ესაა:  
 „ნუმც ვისგან დანინავებით!  
 „საღც უნდა იყვნეთ, ყოველგან,  
 „ლაშქარს თუნდ მგზავრად წასული,  
 „ყველგანამც გავემარჯვებათ,  
 „იქნებით ცამდე ასულნი!  
 „ლაშქარს მოკლულნი აცხონოს,  
 „ადრე საფლავში ჩასულნი!  
 თავზედა ჩიბუხებისა  
 ხალხს ნისლი აწვეს ხშირია,  
 საუბრის საგნად ისა ჰყავთ,  
 ვინაც ყოფილა გმირია,  
 ვისაც კი ქვეყნის გულისთვის  
 ბევრი უნახავ ჰქირია,  
 ვისაც-კი სამშობლოსათვის  
 სიცოცხლე შეაუწირია,  
 ვაქცაქი ჯან-გულოვანი  
 სოფელს მუდამაც სქირია,—  
 თოფი ვისა აქეს, ან ხმალი  
 საუკეთესო, ძვირია,  
 ან კაი ცხენი ვისაა ჰყავ,  
 მუხლ-მკვიდრი ფიცხად მტრომელი?  
 გაქცევით, ყაირათითა  
 ვერ შეეღაროს ცხოველი!  
 სხვას გაიგონებ ვერაფერს  
 ამაზე უბნობს ყოველი:  
 მოხუცი დახავსებული  
 და ბავშვი ძუძუ-მწოველი.

## VI.

სასმლისგან შეხურებული  
 ხალხი ღრიანცილობს, ყბელობდა;  
 ვილაც უკრავდა ფანდურსა  
 და ზედ ახალს ლექსს მღერობდა.  
 ყველა გაჩუმდა, გაყუჩდა,  
 ლექსის დასასრულს ელოდა.  
 ახალი ახალს რას ეტყვის,  
 ჯერ ის არავის ჰმენიდა:  
 შიშნია, უშიშანია  
 ბრძოლისა გამოიმენია;  
 ქებაა უშიშანისა,  
 შიშნისა შესარცხენია,  
 შიშნისა ესმის სიტყვები,  
 გულზე ედება გენია.  
 თავ-დახრილია, მღუმარებს,  
 ხმის ამოღება სცხენია,  
 თავი რით უნდა იმართლოს  
 საღ-აქეს ხელმოსაკიდები

რომ იგი არა ძლეულა,—  
 რით დაარწმუნოს ბიჭები?  
 ან რით დაუბნოს მგომბელთა  
 ბაგენი განაკრიკები?  
 უნდა ჩაიკლას გულშია  
 ალტყინებული სვედები—  
 ცოცხალს ჰმარხავენ შიშნისა,  
 რას იფიქრებენ დედები?  
 ბრთა-ბოლოთ ფარშავანები  
 ხოლო ყელ-ყურით გედები,—  
 სახელოვანის ვაქცაქის  
 მოყვარე მეტის-მეტები?!.  
 მაგრამ სხვაგვარად სწარმოებს  
 დიდის გამგებლის წესები:  
 მალე დაიმტრევეს თავ-პირსა  
 სიკრუით დანაცხედები.

## VII

როცა გათავდა სიმღერა,  
 მისწყდა ფანდურის ქლარუნი;  
 სდუმდა იმითან ერთადა  
 მტრობის აღმძვრელი ფსალმუნნი  
 და ხალხმა გარდა ერთისა  
 ურცხვად დაცინვით თვალები  
 მიაპარო ბეჩავს შიშნისა,  
 იქვე ზის განაწყვალები.  
 ხმას თუმც არ იღებს, მღუმარებს  
 კაცი ცილ-დანაწამები.  
 ერთი შიშნისა მოსა რღლე  
 აღწდა ბეგერი ხევსური;  
 ეწყინა შიშნისა მიმართ  
 ხალხის მოქცევა მზეტური;  
 წამოღდა წინა წარბ-შეკერიით  
 ტანზე იარაღ-ასმული,  
 ფხიზელი იყო სხეებზედა,  
 არ ეტყობოდა შასმული.  
 საესე უპერია ხელშია  
 თასი ხევისბრის შასმული,  
 ქუდ-მოხილია, თავზედა  
 ხელსახოცი აქეს წაკრული.  
 ხელთ ყავარჯენი უპერია,  
 თავზე ვერცხლი აქე დაკრული,  
 მზარ-ილივე ჩინთა ჰკილია—  
 დიდი მადლი აქე დარგული.  
 შიგ ულაგია წამლები  
 ათას ნაქუწში შაკრული;  
 ნაჭამის ტაბლის სიმსუქენე  
 ულავაშებზე აქე წასმული  
 და ლულ-არაყი საცამილი  
 გულის პირზე აქეს დასმული;  
 გარისებული სახე აქეს,  
 თითქოს წაართვის მამული,  
 შაკერია ცოლის წამყვანი,  
 მკვლარი უგინეს, ან სელი.

## VIII

## გაგია.

ხატის კარსა ვართ, ხევსურნა,  
 დინჯად მოუყვა იგია:



გულს მირევს უსამართლობა,  
 დღეს აქ ნანახი დიდია.  
 ვინ თქვა დღე დასაბუნებობა  
 ვითომ ტრეღია შიშნია?  
 მთქმელი ძალღია მეღუმლე, \*)  
 ამაზე ძალმის ფიცია.  
 დამალვა არ შამილიან  
 რაც ვნახე, რაიც ვიცია.  
 წყლული ვისა სკირს რამდენი  
 ან გულადობა ვისია—  
 წყლულები თავად ამბობენ,  
 იმათ მოწმობა ისია.  
 გამიწყრეს გულანის ჯვარი  
 და გამიწყვიტოს ჯიშია,  
 სიმართლით ჩემი სათქმელი,  
 ყველას არ უთხრა პირშია,  
 წყლულებზე ვატყობ შიშნისა  
 არა სკოდნია შიშია;  
 უშიშა ბევრად ისუსტებს  
 ლაშქრობა, გასაპირშია.  
 მის დანებული წყლულები  
 წასული უფრო ძირშია,  
 რასაც მე ვამბობ და ვიცი  
 ყველამაც უნდა იცოდეთ,  
 მეგრძობოთ ქებას და ძაგებას  
 იმის მიხედვით იტყოდეთ.  
 რაც შიშნიას დაკრული  
 უშიშასა სკირს წყლულები,  
 იცოდეთ სამჯერ მეტია  
 უბრალოდ გაეაწრულები.  
 ორ-სამ დღეს გამოვასაღე  
 დარჩა სრულიად უნებში,  
 მაგრამ შიშნიას რაცა სკირს,  
 იტყვი, უციათ ცულეში.  
 ვინც წამლობის დროს დამესწრო  
 ხალხს უღებებოდა გულეში.  
 აბა, თქვენა თქვით, შიშნია  
 რად არი დასაწუნები?  
 ემაგ ლექსაის მოთქომასაც  
 უნდა შაურცხვეს კაცობა,  
 ყბედობს და საქმის აე-კარგის  
 ოდნავ არა აქვს ვაგება.  
 კაცის მოკვლასთან სწორია  
 მართლის სახელის დამზობა.  
 აი იმიტომ ვაგებართ  
 დღეს ვეფკაცობით ვაჭრობა.  
 ძალიანა მწყინს სიმართლის  
 ასე აბუშად ავღება—  
 ანგელოზთ მსგავსის სულისა  
 ეშმაკის ხელში ჩაგდება.  
 სიმართლის თქმითა არ ვშიშობ,  
 წახდეს თუ რამე წახდება!  
 მე საქმეს ნათლად ვხედავ,  
 ექიმიცა ვარ მავათი.  
 ხომ ვიცით, მამა-ბაბისგან  
 როგორიცა გვაქ ადათი.

ჩხუბში ხმაღს მაგრა ის იქნევს,  
 ვინც გულით არი ჩათლახი.  
 ხმალი თვით არი მოწამე,  
 ჯოხი ხომ არ არს, — მათრახი,  
 მას აწერია ფხაზედა  
 ბაძოლისა ვაი-ვაგლახი.  
 ვინც შიშინდება ჩხუბის დროს,  
 ის მაგრა იქნევს მახვილსა,  
 ველარ გააწვდენ მარცვლებსა \*)  
 შემკრთალის მკლავით ვაჭრისა.  
 შიშნისა ასეთ წყლულები  
 ბევრი სკირს, ვიტყვი ნამდვილსა  
 ზეტეისი \*\*) სჯობ ვახდილი,  
 მაგ არმინდასი \*\*\*) ვახდილსა  
 რად უნდა ცილის წამება,  
 მოლექსეს თვალზე დათხრილსა!  
 მე რაც ვიცოდი ვითხარით,  
 დაფარვა აღარ შამედლო.  
 მტკნარის სიცრუის მოსწენა  
 ან როგორ უნდა გამეძლო?!  
 ვისც მართლა ჯიღლი დეკუნის,  
 მისთვის რად უნდა დამეკლო?  
 სიმართლის ბაღია ლამაზი  
 დამენაია, ამეკლო?!  
 მეგრ ხატის კარს მოსულსა  
 წყალობის მონიახესა,  
 ვით არ დამეკვა შიშნია,  
 რომ ურცხვად ვააშვესია.  
 ყვევი გახადეს არწივად,  
 არწივი გააყვავესა.  
 რად ვარ ცოცხალი თუ მართალს  
 არ ვათქმენებ ბაგებს?  
 ეხლა რაც ვნებავით, ის ჰქმენით  
 და იმ ფიქრს დამეყარენით;  
 ნუ დაიჯერებთ ჩემს ნათქვამს,  
 უშიშას დაეფარენით.  
 ვნებავთ ჩაიკვით ჯუბები, \*)  
 დიაცებს დაეგვანებთ.

**ბერდია (ხევისბერი)**

მე მჯერა შენი ნათქომი,  
 ბევრებს არ სჯერა, ჯავრობენ,  
 მოყიდულთა გიგია,  
 ზოგები იმას ამბობენ.  
 რა ეხარჯებათ, ხომ იცი,  
 ჯეილებია, ლაღობენ.  
 არ დაგიღვეენ იმასა  
 ფიქრით რამდენადა ავობენ;  
 ამყოდებია გრძობისა,  
 ბევრჯელ ამოად წვალობენ.  
 თუ კაცები ვართ კიდევსა,  
 ხატები კიდევ გეწყალობენ,  
 ადიღე გვეტყვიან მართალსა,  
 მათ ღეთის კარს რისთვის ვალობენ,

\*) ქერის მარცვლებით იზომება წყლული და ასე ფასდება და-  
 ნაშაული. \*\*) შიშნისა დევის სახელი. \*\*\*) უშიშას დედის სახელი.  
 \*) ნათურის შალის კაბა.

\*) იდუმალ, ზღმად, შიშაით, რომელიც ჰქვამს ადამიანს.



ბატს უნდა ვკითხოთ უთუოდ,  
იმანვე გვამცნოს მართალი  
და გაარკვიოს ჩენს თვალწინ  
მებრძოლთ თაგ-გადასავალი,  
განსაჯოს გულანის ჯვარმა  
იმის მსჯავრის წინ წამდვარნი.  
ჩვენც დავგარწმუნოს ვინ ვის სჯობს,  
რომ ვართ შევაზე დამდვარნი.  
„ძალიან კარგი იქნება,  
რაა მავაზე ადვილი!“  
ერთხმად ყვიროდენ ხეცუნნი,  
ყველანი ზეზე აშლილი.

## IX

საჯარის წინა მოსჩანან  
ორნი-უშიშა, შიშნია;  
ზურგს უკან ჯარი ხალხისა,  
შეშვრები პირშია.  
ყველანი ქულ-მოხდილები  
სდგანან იფენების ჩრდილშია.  
სულ წინა დაჩოქებულნი  
ბატს ევედრება ბერძია.  
სადავო საქმის გამჩრეველად  
მან მოიწვია ღმერთია.

## ბ ე რ დ ი ა

უფალო დამბადებელო,  
ცისა და ქვეყნის გამგეო!  
ფუქია ჩვენი ცხოვრება,  
თუ არაფერი გვარგეო!  
თავის მავივრად ჩვენ შორის  
სალოცავები დაპრგეო!  
გვიშველე, ნუ მოგვიძულებ,  
შე დილო მოამაგეო!  
გადიდებთ გულანის ჯვარო,  
დამბადებელის სახეო!  
გენუკავთ შენი საყმონი,  
გამოჩნდი დაგვენახეო!  
საქმე გაგვიჩნდა ერთი რამ  
საჯაყი, სავაგლახეო.  
შენ გაგვიჩრჩიე ამ ორთა  
სიკეთე, სიხათლახეო.  
ნიშანი დასდევ იმასა  
ვინც ქალაქუნად ჰხანხეო.  
ჰო, დილო გულანის ჯვარო,  
გვინდა გავივით ნამდვილი:  
არმინდაის ძე სჯობისა  
თუ ზექუაის გაზილიო?  
ხალხიც ხელ-გაწვდით ამას სიხოვს,  
ესაა მისი წაილიო.  
თხოვნას და განაჩენს შუა  
დიდი არ დაჩნდა მანძილი:  
შეინძრა მთელი საჯარე,  
მთელი სახატო ადგილი;  
იმასთან ერთად სალუდე,  
იფენები ტანად აყრილი.  
ებერტყებოდა მიწასა

იმით ტოტები დახრილი.  
სძრავს უხილავი ძალა რამ  
ბატის მიდამოს ვაშლილი.  
ხალხია სულ-განაბული,  
ხალხია ჯავარ-აშლილი,  
სხემე ყველამ ნახა, მან ვერა  
ვინც არი თვალმ-დათხრილი,  
შეგებარს უშიშას რომ თავზე  
შეგოხებია მანდილი.  
ასრულდა ნატერა ხალხისა,  
ასრულდა მისი წაილი.  
ბატმა აჩვენა თვის ძალა,  
გაავებინა ნამდვილი.  
მართლა ვინ არი ვეჟეკი  
ვის არ აშინებს მახვილი.  
მანდილი არჩევს ყველაფერს,  
ბატს არ სჭირდება ძახილი.  
ბევრს გაუშხადა ამ დღესა  
სამხარ-ვახშიში, სადილი.  
ენატერის ბეჩავს უშიშას  
აქვე სადღავი გათხრილი.  
დანას მიჰმართა, მავარამ  
ხელი შესტაკა ბერდიამ  
და დაემუქრა ბატითა  
რომ ამოავდებს ერთიან  
თუ ავს დაშვრება საქმესა,  
ბატის მსჯავრს შეხვდა ბრაზითა  
არავინ არ მოიწყალბეს,  
არც ტაბლით, არცა თასითა.

## X


ხალხი გაოცდა, ვაშტერდა,  
საკვირველების მწახველი;  
ყველა იძახის ჩუმად:  
„იდილოს შენი სახელი!“  
დაეზხო საჯარის წინა  
როგორაც ცოდვის ჩამდენი.  
ბატს უთხრა დიდი მადლობა,  
ხალხმა აღიდა გამჩენი!  
ბეერი ქვითინებს ჩუმად,  
ცრემლი სდენია რამდენი!  
გიგია ისეთი მოსჩანს,  
როგორც ყვინი სპარსელი.  
ბატი ჰყავს იმას მოწამე,  
არაფერი აქვს სათქმელი,  
გაშავდა, უშიშისა  
ვინც იყო მომხრე, მქებარი,  
გაცრუვდა იმით ნათქვამი,  
იმით დანაყუარო.  
უშიშა გაჰკრა საღალატა  
გულს ბოლმა დანატყებარი.  
მართლ-მსაჯულების წყალობით  
შიშნია ცისა სწევდებოდა,  
თუმც მისი შუბლი ჯერ ისევ  
დაბლა მიწასა ხედდებოდა  
შიშით და მოწიწებითა  
საჯარის წინა დნებოდა.



ლოკულობს: კვლავ იჩოქებდა როცა კი წამოდებოდა ხატისთვის მადლობის თქმითა შიშნია ვერა ძღებოდა. იმ დღიდან ყველას ეკარა პირზე შიშნია სახელი, უშიშის ხსენება გასწყდა ვით დამწერის სანთლის ნათელი. გადაიკარგა უშიშა, დასტოვა თვისი სოფელი, ველარა ჩნდება ხალხშია სირცხვილით მისი მოზობელი. დასტოვა სამუდამოდა

უშიშამ თვისი მთა-ველი, არ ჩნდება მისი მნახველი ხეესური, აღარც ფშაველი. ამბობენ: თუშეთს წასულსა გამოუცვლია სახელი, დასკინის გულადობასა, მუდამ არს მისი მძრახველი. ადიდებს პურადობასა \* მისი სიკარგის მმნახველი, თვითაც პურადობს, სწადიან მით მოიხევეს სახელი.

ვაჟა-ფშაველა.



## ჩვენი კულტურული ფრონტის ბარჯემო.

წერილი მეიოზე

განათლების კომისარიატმა, როგორც წინა წერილებში გვეჩონდა აღნიშნული, საქართველოს ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებლებში მოახდინა სრული გაეროვნება და ამირივად ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოხინდრე თვითოეულ ეროვნებას მიეცა სრული შესაძლებლობა სამშობლო ენაზედ განვითარებისა და სწავლა აღზრდის მიღებისა.

საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებას სასწავლებლების გაეროვნების შესახებ უღირესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერის ნაციონალური კულტურის განსამტკიცებლად და ასაღორძინებლად, როგორც პედაგოგიური თვალსაზრისით, ისე სახელმწიფოებრივი მოსაზრებით.

ყველა განათლებული ერისა და ქვეყნის გონებრივად განვითარების ისტორია მკერმეტყველურად მოწმობს, რომ სამშობლო ენაზედ სწავლება ის საიმედო საფუძველია, რომელიც ქვაკუთხედ აქვს დადებული მოზარდი თაობის სწავლა აღზრდის სისტემას სწავლა განათლების საქმეში.

პედაგოგიურ ლიტერატურაში დიდი ხანია, რაც ანბანურ ქეშმარიტებადაა აღიარებული, რომ სალი და ქეშმარიტი სწავლა-განათლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სამშობლო ენაზედ.

სამწუხაროდ, ეს ანბანური ქეშმარიტება დიდი რუსეთის ყოფილმა ბიუროკრატულმა მთავრობამ განზრახ უსირცხვილად დაივიწყა და მთელი ასი წლის განმავლობაში სასკოლო პოლიტიკას საქართველოში წარმეუხერხელად აწარმოებდა პედაგოგის სალი მოთხოვნილების სრულიად წინააღმდეგ და ამ რიგათ ჩვენ მოზარდ ახალაობას ხელგუნურად გზას უზმობდა ქეშმარიტი სწავლა განათლების მიღებისა და განვითარებისაკენ.

რუსეთის დიდმა რევოლუციამ სამუდამოდ წესი აუფო რომანოვების გეაროვნობას, რუსეთის გამათახსირებელ სასკოლო პოლიტიკას და მოზარდი თაობის სწავლა აღზრდის საქმე ჩააყენა იმ ბუნებრივ საზღვრებში, რომლებიც ხაზგასმით და ანიერებულად შემოფარგლულია, ქეშმარიტი პედაგოგის მოთხოვნილებით.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს გასაბჭოების დღიდან თავის პირველხარისხივან საზოგნეულ საგნად,

მიუხედავად სახელმწიფოს მიმეე ეკონომიური პირობებისა, დაისახა ჩვენი ქვეყნის კულტურული ფრონტის, ჩვენი ნაციონალური კულტურის განმტკიცება და ამ აზრის განსახორციელებლად, სხვა საშუალებათა შორის დაისახა ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებელში გაეროვნების პრინციპის მტკიცედ ცხოვრებაში გატარება.

ამ რიგად, სასწავლებლების გაეროვნების საკითხი, რაიცა პედაგოგიური თვალსაზრისით უდიდეს მნიშვნელოვან საკითხად არის მიჩნეული მოზარდი თაობის სწა-



გამოჩენილი მწერალი გაბრიელ დ'ანუციო.

ფიუმეს გრაფის წოდება მიიღო იტალიის მეფისაგან ფიუმეს შემოერთების გამო იტალიასთან.

ვლა განათლების საქმეში, ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში საბოლოოდ გადაჭრილად არის აღიარებული და მის შეფერხებას ან სხვაფერე გადაჭრას ჩვენი ხელისუფლება ყოველად დაუშვებლად მიჩინეს და ამის უფლებას არც აცრის მისცემს.

სასწავლებლების გაეროვნებას გარდა პედაგოგიური მოსაზრებისა აქვს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, რასაც საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ უეჭველად სათანადო ანგარიში გაუწია, როცა კანონმდებლობის სახით დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოს

რესპუბლიკის მიერ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოაცხადდა.

ცხადია, საბჭოთა ხელისუფლების მიზანია მშრომელი ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მისთვის და მისთან დამხობვება, მისი ჭირისა და ვარაზის გაგება, მისი უფლებები და ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და სასურველად მოვარება.

ამ უარესად დიდწინაშეწევნილი მიზნის მისაღწევად და პირიანად ცხოვრებაში გასატარებლად მთავრობას აუცილებლად სჭირია მარტივი და სადა სახელმწიფო დაწესებულებანი და სათანადო მომზადებული და შეგნებული სხვა და სხვა კვალიფიკაციის მოსამსახურეები, რომლებიც სისწორით და ღირსეულად შესძლებენ მთავრობის მიერ დასახულ მიზნების ცხოვრებაში გატარებას და ამრიგად გაუწყვენ ქვეშაირთა სამსახურს ჩვენი ქვეყნის მშრომელ ნაწილს.

ცხადია, საქართველოს ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლები, საცა გაეროვნება უკვე დაკანონებულია და სწავლება უკვე თვითოეულ უროვნების ენაზედ სწარმოებს, სულ მოკლე მომავალში შესძლებენ მოუმზადონ სახელმწიფოს ისეთი კვალიფიკაციის მოსამსახურეები, რომლებიც სრულიად დაუკავშირდებიან ჩვენი ქვეყნის მშრომელ მასას, სრულის რამენი და შეგნებით აამოძრავებენ თავის კოდანს და გამოცდილებას მშრომელი ელემენტების სამსახურად და ამ რავად განამტკიცებენ სახელმწიფოს მექანიზმის საფუძვლებს მშრომელი მასების საბედნიერად და საკეთილდღეოდ.

თუ დღესდღეობით ამ ნიადაგზე ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში ზოგიერთ გაუგებრობას ადვილი აქვს და მთავრობის, მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ მიმარ-

ზორეულ კუთხებშია! დიან საბჭოთა უზენაესი ხელისუფლება, როცა იგი საქართველოს ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლების გაეროვნებას კანონმდებლობის სახით აკანონებდა, ორგავარი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა: ერთის მხრით პედაგოგიისა, რომლის მიხედვით ქვეშაირთი კოდნისა, ქვეშაირთი სწავლა აღზრდის მიღება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სამშობლო ენაზედ, და მეორეს მხრით სახელმწიფოებრივის, რათა გაეროვნებულ სასწავლებლებში კურს და მთავარეულია შეწყობილი განმეტკიცებინა სახელმწიფოში მუშათა და გლეხთა ძალაუფლება.

ცხადია, ვინაიდან სასწავლებლების გაეროვნებას ესეთი დიდი პედაგოგიური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს მთავრობის მიერ მიჩნეული, თვითოეული მოქალაქე, თვითოეული წევრი ჩვენი რესპუბლიკისა ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ უარესად დიდწინაშეწევნილ ვან და პასუხისაგან საქმის ცხოვრებაში ჯეროვნად გატარებას.

სასწავლებლების გაეროვნება იმ ქვეყანაში, რომელიც ასი წლის განმავლობაში სწავლა აღზრდის მხრით სრულიად მოწყვეტილი იყო სწორას და ქვეშაირთ გზას, მეტად რთული საქმეა, მისი ცხოვრებაში უმტკიცებლად გატარებასი პედაგოგიური პრინციპების მიხედვით დიდ სფეროხილეს და წინდახედულობას, დღე წინასწარ სამზადისის მოითხოვს, თუ გესურს, რომ ამ დიდწინაშეწევნილმა საქმემ მართლაც სათანადო ნაყოფი გამოილოს.

ვანათლების კომისარიატმა სასწავლებლების გაეროვნების მხრით მკვიდრ ნიადაგზედ დასამყარებლად სხვა მრავალ ღონისძიებათა შორის, როგორც ეს ჩვენ „დროშის“ მეთერთმეტე ნომერში აღვნიშნეთ, ერთ ერთ უსჯიროვან და აუცილებელ საგნათ მიიჩნია სოციალურ არხების მართველობაში დაარსება ლიტერატურულ მხატვრული სექციის, რომელსაც დავალებული აქვს გაეროვნებულ სკოლებისათვის საყმაწვილო წიგნების შეჩვენება და გამოცემა და ამრიგად მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ხელის შეწყობა და გაადვილება სახელმძღვანელოების საშუალებით შექნილი კოდნის გაფართოვებისა და ვრცელ აღვითვისებისა.

ცხადია, ლიტერატურულ მხატვრულ სექციას, რომელიც კომისარიატის დებულებით სახელმწიფო ორგანოდ არის გამოცხადებული და რომელიც თავისი დიდ მნიშვნელოვანი მიზნების განსახორციელებლად შედარებით საკმაო თანხას იღებს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, დიდი რთული და პასუხისაგები მოვალეობა აქვს დაკისრებული.

ამ ორი წლის განმავლობაში, როგორც ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ „დროშის“ მეთერთმეტე ნომერში, სექციამ და მისთან არსებულმა სარედაქციო კოლეგიამ დიდი და მეტად ძველი მუშაობა შესასრულა, არა ერთი და ორი მხატვრული და პროლეტარული შინაარსის საყმაწვილო წიგნი მიუძღვნა ჩვენ მოსწავლე ახალგაზრდობას და ამრიგად უმეტველად დაუფასებელი სამსახური გაუწია საყმაწვილო ლიტერატურის აღორძინებისა და განვითარების საქმეს.

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, მხატვრული სექციის მოღვაწეობა მომავალში უფრო უნდა გაფართოვდეს და საყმაწვილო წიგნების განმავლობის ის გეზი, რომელსაც ამ ჟამად აწარმოებს სექცია, მრავალად უნდა შეიცვალოს, ეს



მუგო სტინენსი.  
გარდაცვალების გამო.

თული ზომები სათანადოდ არ სრულდება ან ვერ ასრულებენ, ზოგი შეუგნებლობისა, ზოგი მოუმზადებლობის გამო და ამრიგად მთავრობის პრესტიჟს უდავოდ ლაქს სდებენ, სულ მოკლე მომავალში, როცა ჩვენ გაეროვნებულ სასწავლებლებში კურს და მთავარეული სახელმწიფო მოღვაწეობის ფერხულში ჩაებმთან და თავის კოდნას, შრომას და ენერჯის ხალხში და ხალხისათვის ამოძრავებენ, ამ ხალხის გულის ნადებს, მის სულისკვეთებას ქვეშაირთად ანგარიშს გაუწყვენ და კიდევად ამის შესაძლებლობაზე ექნებათ გაეროვნებულ სასწავლებლებში სწავლის მიღების წყალობით, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მექანიზმი უფრო ნაყოფიერად და მძლავრად ამოძრავდება როგორც ცენტრში, ისე ჩვენი რესპუბლიკის





მით უფრო მოსახერხებელია, რომ მთავრობა და მასთან ერთად განათლების კომისარიატი დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ სექციას და მისი ნაყოფიერ სამოღვაწეოდ ნიუ-თიურ რესურსებს არ ერიდება და არ ზოგავს.

ამ ჯამად სალიტერატურო სექციას უმთავრესი უგლის ყური მიპყრობილი აქვს გამოსცეს ისეთი საყმაწვილო წიგნები და ჟურნალები, რომლებიც, სრულ მკერდის გამო-ნაკლისით, თავისი შინაარსით შეფარდებულია მკერდწი-ვანთა და ოთხწლიან შრომის სკოლების მოწაფეების გან-ვითარებასთან.

მხატვრული სექციის მიერ გამოცემული საყმაწვილო წიგნები და ჟურნალები: „ნაკადული“, „წითელი სხივი“, „სომხური“ „კაჰინი წილერი“, „ტყის ზღაპარი“ მამინ სი-ბირიაკისა, „ტყის სურათები“ შ. მღვიმელისა, კრებული „გაზაფხული და ზაფხული“ „კოკოქინა“ დ. დონდუასი და სხვა ამგავრი გამოცემანი თავისი მხატვრული შინაარ-

**პირველი მინის დღესასწაული.**



წინით.

გზა.

სით მეტად მნიშვნელოვანი და შესაფერისია მხოლოდ ოთხწლიან შრომის სკოლის ფარგლებში, მაშინ როდესაც კი შვიდ წლიან და ცხრა წლიან შრომის სკოლებისა და ტექნიკუმების მოწაფეები სრულიად მოკლებულნი არიან მხატვრული სექციის მზრუნველობას საყმაწვილო წიგნების მიწოდების სახით.

აი კიდევც ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ მხატვრულმა სექციამ უეჭველად თავისი ამ ჯამად ფრიად ნაყოფიერი

მოღვაწეობის ასპარეზი უნდა გააფართოვოს და საყმაწვილო წიგნების გამომცემლობის გეზიც მძლავრად შეს-ცვალოს.

ჩვენის შეხედულებით მხატვრულმა სექციამ თავის მოღვაწეობის საგანდ უნდა დაისახოს ისეთი საყმაწვილო წიგნების შემუშავება და გამოცემა, რომლებიც სოციალურ აღზრდასა და პროფესიონალურ განათლების (გარდა უმაღ-ლესი სკოლისა) ყველა ტიპისა და საუბუნიის სასწავლებ-ლების მოწაფეებს გაუადვილებენ სასწავლო საგნების შე-თვისებას და ამა თუ იმ ცოდნის გაღრმავებას და გაფარ-თივებას.

სექციამ ყველა ამ ტიპისა და საუბუნიის სასწავლე-ბელი უეჭველად მხედველობაში უნდა იყოსოლოს, თუ სურს, რომ მისი მოღვაწეობა მართალაქ მნიშვნელოვანი გამოადგეს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის გონებრივად განვითარების საქმეში.

პირადად ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხატვრულმა სექ-ციამ და მასთან არსებულმა სარედაქციო კოლეგიამ სა-ყმაწვილო წიგნების გამომცემლობის საქმეში აუცილებ-ლად უმედეგ გზას უნდა დაადგეს, თუ სურს, რომ მისმა მოღვაწეობამ უფრო მეტი სამსახური გაუწიოს ჩვენს ახ-ლად გაეროვნებულ სასწავლებლებს.

მოსწავლე ახალგაზრდობას, როგორც მკერე წლო-ვანთ, ისე მოზრდილ ყრმათ, სექციამ ყოველთვის უნდა სის-ტემატიურად უნდა აწვდიდეს ასაკისა და განვითარების მიხედვით ნახატებთან ჟურნალს. ეს ჟურნალი თავისი მხატ-ვრული შინაარსით და სურათებით ისე უნდა იქმნას შე-დგენილი, რომ მისი წაკითხვა აუცილებლივ მოთხოვნი-ლებად გადაექცეს თვითოეულ მოსწავლე ახალგაზრდას.

მხატვრულმა სექციამ პირველ რიგში და უმთავრესად უნდა გამოისცეს ქართველ კლასიკურ მწერლების ნაწარ-მოებთა თვითოეული თხზულება ცალ-ცალკე და ამრიგად მისცეს საშუალება მოსწავლე ახალგაზრდობას ხელმისა-წვდენ პირობებში გაეცნოს ჩვენი კლასიკოსების ნაწარ-მოებთა ნიმუშებს.

დღევანდელ პირობებში მოწაფესათვის საძნელოა შეიძინოს მთლიანად თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, აკა-კი წერეთლისა, გიორგი წერეთლისა, ვაჟა ფშაველასი, ალექსანდრე ყაზბეგისა და სხვათა და უკეთეს საშაატვრო სექცია იფ ვასებში გამოსცემს ცალ-ცალკე პატარ-პატარა წიგნებად მოხსენებულ ავტორთა თვითოეულ თხზუ-ლებას, უეჭველია დიდ სამსახურს გაუწიეს ჩვენი სასწავ-ლებლების გაეროვნების საქმეს.

ჩვენს ჟურნალ გაზეთებში, ვითომ ამა 1921 წლამდე პერიოდულად ისტამბულოდა, მრავლად გაბნუ-ლია ჩვენი საყმაწვილო მწერალთა მოთხოვნები და წე-რილები, რომლის მოგროვებას და ცალკე კრებულებად გამარკმას დაერინებთ მოითხოვს ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ვითარება.

სამწუხაროა, რომ მოწაფეები დღეს დღეობით მო-კლებულნი არიან საშუალებას მთლიანად გაეცნონ სხვა და სხვა ჟურნალებში გაბნულ საყმაწვილოდ დაწერილ მოთხოვნებს ეკატერინე ვაზაშვილისა, ვაჟა ფშაველასი, თედო რაზიკაშვილისა და სხვებისა.

აი, სწორად ამ ნაკლის გამოსწორება თავს უნდა იღვას ჩვენმა მხატვრულმა სექციამ და მოხსენებულ მწერ-ლების სხვა და სხვა ჟურნალებში გაბნულ თხზულებათა



გამოცემით ხელი შეუწყო ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარება ვანეთარდნის საქმეს.

გაეროვნებულ ჩვენ სასწავლებლებში რომ მოწაფეები სათანადოდ განვითარდნენ და მართლაც ქმშაობითი კოდნა შეძინონ, მხატვრულმა სექციამ აუცილებლად უნდა გამოსწავლოს კოდნის ყველა დარგში საყმაწვილოდ შედგენილი წიგნები და ამ როგად ვაფართოვოს მსოფლმხედველობა ჩვენი მოზარდი ახალთაობისა.

მხატვრულმა სექციამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს არაერთე უცხო მწერალთა ნაწარმოებთა ქართულად გადმოღობას.

ჩვენ ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია ჩვენს გაეროვნებულ სასწავლებლებს არ გვერთვობოდეს ქართულენაზუდ რუსების, ფრანგების, გერმანელების, ინგლისელების და სხვათა კლასიკურ მწერალთა ნაწარმოებნი, რომლებიც თავისი მხატვრული შინაარსით უდიდეს ღირებულებას განხად იქნება მიჩნეული ჩვენი გაეროვნებული სკოლების ნაყოფიერ წარმატებისთვის.

ჩვენ ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია პუშკინის, გოგოლის, დოსტოევსკის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, ემლზოლის, ვიქტორ ჰიუგოს, მოპასანის, შოლერის, ვიგტეს იულიამ შექსპირის, დიკენსის და ლიტერატურის სხვა კორიფეების რჩეულნი ნაწარმოებნი არ ამშვენებდნენ ჩვენი გაეროვნებული სასწავლებლების ბიბლიოთეკებს და მოწაფეები თავის სამშობლო ენაზუდ არ ეცნობოდნენ ამ დიდებუნივან მხკოვან მწერალთა თხზულებებს.

მსოფლიო ლიტერატურის თანდათანობით განვითარების ისტორიის შესათვისებლად შეუძლებელია, რომ მხატვრულმა სექციამ გვერდ აუხვიოს ძველ ბერძნების და რომაელების კლასიკურ მწერლების ნაწარმოებთაც.

ჰომეროსის, არისტოტელის, პლატონის, ოვიდიუსის, ვერგილიუსის, პოპრაციუსის, იულიუს ცეზარის, ტიტუს ლივიუსის და სხვათა ნაწარმოებთა რჩეულ თხზულებებს დღესაც მსოფლიო წმიშენლობა აქვს და ამიტომ მათი ქართულად გადმოღობა და მოზარდი მოსწავლე ახალგაზრ-

დობისათვის მიწოდება დიდ წმიშენლოვანი საქმეს და ამიტომ მისი უგულებლად დატოვება ყოვლად დაუშვებელია.

მხატვრულმა სექციამ, რასაკვირველია, აგრეთვე ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ეროვნულ უმცირესობათა გაეროვნებულ სკოლების საყმაწვილო ჟურნალებით და წიგნებით უზრუნველყოფას.

სომხურ და თურქულ ენაზუდ საყმაწვილო ჟურნალებისა და წიგნების გამოცემა ტფილისში, საცა თანამშრომელთა სათანადო ძალები ნაქლებად მოიპოვება, ტენხიკურად მრავალ ბრკოლებდა და ამიტომ, ჩვენის აზრით, ძლიერ მიზანშეწონილი იქნება, თუ მხატვრული სექცია სათანადო კონტაქტს დაიქნის სომხეთის და აზერბეიჯანის ესეთივე სექციებთს.

სომხეთისა და აზერბეიჯანის ვანათლების კომისარიატებში, ვეფიქობში, ბაქოსა და ერევანში, საცა უფრო მეტი ლიტერატურული ძალები მოიპოვება და ტენხიკური შესაძლებლობაც უფრო მეტია, ვაცხოვრებთ მეტის სიფრთხილით და პედაგოგიურის მიზანშეწონილობით შეადგენენ სომხურსა და თურქულ ენაზუდ საყმაწვილო ჟურნალებს და წიგნებს და მიაწოდებენ ჩვენს ვანათლების კომისარიატის მხატვრულ სექციას ვაკორევილის ტერიტორიაზუდ არსებულ სომხურ და მაჰმადიანთა სკოლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

აი ყველა ის ღონისძიება, რომელიც ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ადვენინშა მხატვრული სექციის მომავალ სამოღაწეო ვეგმაში.

ჩვენ ღობად დარწმუნებულ ვართ, რომ თუ მხატვრული სექცია ჩვენ მიერ ნაჩვენები წმიშენებით იხელმძღვანელებს, ჩვენ სასწავლებლებში გაეროვნების საქმეს უფრო მეტიდრი საძირკველი ჩაყვრება, რაცა უშეკველია ხელს ერთი ორად შეუწყოებს ჩვენი ნაციონალური კულტურის განმტკიცებას და აღორძინებას.

ალექსანდრე მიქაბერიძე.

### ქუთაისის სახალგაზრო აკადემიური დრამა.

ქუთაისის 1923—24 წლის სეზონი 30 აპრილს დასრულდა. მუშაობა ამ სეზონში წინანდლ წლებთან შედარებით ნაყოფიერი იყო. დასში მიწვეულ იყვნენ მსახიობნი: ე. გუჩია, ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. გამყრალი, ა. მურუსიძე, მ. სარაული, თამ. აბაშიძე, თინა ჩარკვიანი და სხვები. დასს ხელმძღვანელობდა მსახიობი იუზა ზარდალიშვილი. წარმოდგინით იქნა და მრავალჯერ განმეორდა შემდეგი პიესები: ა. შანშიაშვილის ბერძენო-შანიაა, რომლით გაიხსნა სეზონი. „უკვირვებნი მეფენი“ მისივე, დ. კლიაშვილის „სამანიშვილის დედინაცეცლა“, ნ. ნაკაშიძის „კაცის სამართალი“, კლასიკურ რეპერტუარადნ: „მეფე ლეონი“, „ჰამლეტი“, „დონ-კარლოს“, „კარაილი“, „ურეიოდ-აკოსტა“, „ოვიდიუსი მეფე“ და „ანტიგონე“.

სცენაზე მრავალი სიახლე იყო შეტანილი, იგი ვადიდებულ იქნა კუბიკების საშუალებით; თეატრის ადმინისტრაციამ მხატვარს ს. ქელოძეს და ა. ქავთარაძეს დაახატინა ახალი დეკორაციები. აღდგენილ იქნა სათეატრო ბუტაფორია და რეჟიზიტე.

მსახიობთა ერთსულოვანი და გულბოვნიე მუშაობა ახასიათებდა მთელს სეზონს. ყოველ პიესას სათანადო

მოზადებით და ხელოვნებით ასრულებდნენ და ეს იყო მიზეზი, რომ ვასულ წლებთან შედარებით ქუთაისის საზოგადოება უფრო მეტის ყურადღებით ეპყრობოდა თეატრს და ყოველთვის მრავალრიცხოვანად ესწრებოდა წარმოდგენებს.

მომავალ წლისთვის მთავრობამ დააქისრა იუზა ზარდალიშვილს ვანაჯრობს დასის ხელმძღვანელობა, მოიწვიოს სხვა ახალი მსახიობნი და რეპერტუარიც სათანადოდ განახლოს. ამ მიზნით ზარდალიშვილი უკვე შეუდგა მუშაობს და უკვე შეიძინა რამდენიმე ორიგინალური პიესა შემდეგი ავტორების: ა. შანშიაშვილის „სპარტაკე“ და „ლატავრა“, ლ. მეტრეველის „საყვირინი“ დ. ნახუციშვილის „პატარა ბატონიშვილი“, ს. ქანტურიშვილის „სული ობოლი“ და სხვა.

ამის ვარდა აღძრა შეამდგომლობა მთავრობის წინაშე რათა ქუთაისის დასი ცნობილ იქნას აკადემიურად და მსახიობთ დავინშნოს წლიური ჯამაგარი. ვადიდებულ იქნას ერთდროული თანხა დეკორაციებისათვის და ტენხიკურად სცენის ვასაუმჯობესებლად.



# ონორა-ოგიუსტ-იოლიზ დომეა.



მხატვარი დომეა.

წარსული საუკუნის პირველი ნახევარი ევროპისათვის და კერძოდ საფრანგეთისთვის იყო დიდა სოციალური კატასტროფის ხანა. ბურჟუაზიამ, რომელმაც ძირს დასცა ფეოდალური აბსოლუტური მონარქია 1789 წ. ისარგებლა არეულ დროებით და ქარიზულიან ევროპულ ომებით, და მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი მპართელობა.

1830 წ. ივლისში პარიზის პროლეტარიატი აღსდგა კარლ მე X-ე ბურონის მონარქიის წინააღმდეგ. შეშინებული და დამარცხებული მეფე გაიქცა აჯანყებული ხალხი მიელოდა საფრანგეთში რესპუბლიკის დამყარებას, მაგრამ ბურჟუაზიის მეოხებით მოხდა კვლავ მონარქიის რესტავრაცია და ტახტზე ავიდა ლუი ფილიპე.

შინდელი დროის საუკეთესო მხატვრები მემარცხენე წრიდან, როგორცაა: მონე, გრანვილ, ტავე, ვაგარი, დომეა და სხვ.

ონორე-ოგიუსტ-იოლიტ დომეა (დაიბადა 1808 წ., გარდაიცვალა 1879 წ.). სწენებულ მხატვართა შორის იგია ერთი უდიდესი ფიგურათაგანია. ვარდა მხატვრობისა, მან თავის შემოქმედებაში მოგვცა თავის ეპოქის ისტორია, საბრალმდებლო ოქმი რეაქციონერ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ოქმი, რომელშიაც მან აღნიშნა ყველა ბრალდებები.

დომეა ყოველმხარეი მხატვარი იყო. პოლი ჭიკჭური შარკი, გულის გამგმირავი იუმორი, ტრალაკულა სატირა, მხიარული პაროდია და მრაველი სხვები, და ყველა ესენი გამსჭვალული იყო შეუბრალებელ და გესლან ზიხლით ჩასუქებულ ბურჟუაზიაში, მის წყობრლებისადმი და მის მშობარა—გაუმადლარ დიქტატურისადმი.

დომეას სატირა მთლიანად გამსჭვალული იყო ტუმბარიტ ადამიანობით და დაჩაგრული მასის თანაგრძობით. მის სურათში—„სამწუხარო ახალი წელი“ მო-



მსოფლიო რევოლუციის წინაშე. ნახ. დომეის.



ბურჟუაზიის მართლ-მსაჯულება. ნახ. დომეის.

ცემულია 1871 წ. საფრანგეთ-პრუსიის ომი, როდესაც სამხედრო გამარჯვება ჯერ კიდევ ნაწილობრივ საფრანგეთის მხარეზე იყო ფრანგმა დომეამ დაინახა უსახვგრო მინდორი, რომელზედაც ეყარა „გამარჯვებულთა“ და „დამარცხებულთა“ უმარავი მსხვერპლი.

თავისი რევოლუციური ტემპერამენტი, ესთეტიური შთაგონება არ მიჰყიდა ბურჟუაზიას, როგორც მრავალმა სხვებმა, რის გამოც მან გამოიარა დიდი ტანჯვა და მწუხარება, ბრძოლა და სიღარბე. გარდაიცვალა 1879 წ. დაბრმავებული.

შალვა რადიანი.

რესპუბლიკანურმა წრეებმა მაშინ დიწყეს გააფთრებული ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ. ცნობილმა ქმებრძობლ-მხატვარმა ფილიპონომ დაარსა იუმორისტული ჟურნალი „კარიკატურა“—პირველი პოლიტიკურ-იუმორისტული ჟურნალი ქვეყნიერებაზე, რომელიც რამოდენიმე ხნის შემდეგ მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ კარიკატურების მოთავსების გამო დახურეს.

1835 წ. ფილიპონომ კვლავ დაარსა იმავე ხასიათის ჟურნალი „შარიანი“, რომელშიაც მონაწილეობდენ მხ-





მხინარე პარლამენტი.

ნაწ. დომიესი.

### ახალი პერმანის გხატვრული პროჯა\*)

ძნელი და თითქმის შეუძლებელიცა მოკლედ, ორი სიტყვით გადმოცემა ღღვეწდელ გერმანულ ლიტერატურის საერთო ხასიათისა. მწერლობაშიც იგივე აღწევია გამეფებული, როგორც საზოგადოებაში და პოლიტიკაში. რომელიმე მიმდინარეობის ან ტენდენციის „გამეფებაზე“ ლაპარაკი მეტია: თვითთელი თავისკენ იწევს, თავის ჰანგს მღერის. ერთი რამ კი ცხადია: უკიდურესი მიმართულებანი—ექსპრესიონიზმი, ფუტურნიზმი, დადაიზმი და სხვა—ისე სტკენბიან, რომ ჭარბად გაფურჩქნავი კი ვერ მოასწრეს. და თუ მაინც და მაინც უნდა აღნიშნულ იქმნას რაიმე მიმართულება, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ რეალიზმიცავე გადახრა, წარსულ საუკუნის შუა დროის დიდ რომანისტებთან—კელერის, მეიერის, რაბეს და სხვ. ტრადიციისაყენ; ეს ლტოლვა მით უფრო საგრძნობელი ხდება რაც უფრო სასოწარკვეთით იგრისებებიან უმწიფოზედ უმწიფონი, ისინი, ვინც უკანასკნელ ძაღებს იკრეფენ აშკარად წაგებულ პოზიციების შესანარჩუნებლად.

გასულ წელს ახალ რომანებით გამოვიდა ძველი სკოლის ორი დიდი ოსტატი. ჰერმარტ მაუტემანის უკანასკნელ დრამებს („თერთა მესია“, „ინდიპოდი“), საიუბილეო ხეაურობის გარეშე აღებულთ, არ ხვდათ წილად

გამარჯვება. ჯერ კიდევ 1917 წელში მან ყველა მოხიბულა მოთხრობა „სოანელ ერეტიკოს,“ ში საკვირვალად დაცულ სტილით და ეხლა თავის ახალ რომანში „მორენება“ (Phantom) იძლევა ძლიერ და ღრმა, საკვირველ ფსიქოლოგიურ ეტიუდს. ამ რომანის ფაბულას არ ახასიათებს სირთულე და ის „სენსაციური“ ინტერესი, რომლის გამოწვევა შეუძლია ცალკე ეპიზოდებს, შეგნებულათაა შენელებული რომანის მეჭურული ფორმით. ლორენც ლიუბოტას, ბრესლავლის ქალაქის გამგეობის მოხელეს,—უბრალო, პატიოსან და კეთილ ადამიანს—გაიტაცებს გერედ წოდებულ „უმადლესი წრის“ უჩვეულო ქალისადმი ტრფილი და თუმცა იცის, რომ იგი არასოდეს არ შეიძლება მისი იქნეს, მაგრამ იმდენად დაუფლავს მას მიუწვედომელი „მოჩენების“ ძალა, რომ იგი ნახევრად ცნობაში მყოფი და თითქოს ჰანზოზის ქვეშ, ჩაიდენს ბოროტმოქმედებათა მთელ რიგს, არც თუ ისე საზინელს, მაგრამ იურიდიულს თვალსაზრისით მაინც, იმდენად მძიმეს, რომ მას მიუსჯიან ექვსი წლით ციხეში დაპატიმრებას. ციხეში თანდათან მის გარშემო ნისლი გაიფანტება და პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ მას საბოლოოდ იხსნის წინდა, ნათელ ქალისადმი სიყვარული, რომელიც ნორჩ იდა ბუნერის სახეს მოგვაგონებს მისივე ადრინდელ დრამაშიან „შერიგების ზეიმი.“ მაგრამ მკვლის სიმართლით და მიმიზღველობით დახატულს. გელე სი-ცოცხლისთვის მოწოდებული ლორენცი იწყებს თავის მოგონებების წერას—და სწორედ ეს მოგონებები შეადგე-

\*) რედაქცია ათავსებს ცნობილ ლაიკიკელ პროფესორის ა. ლაუტერის წერილს ახალი გერმანიის პროზის შესახებ, თუმცა ეს წერილი რამდენიმედ ტენდენციურად არცვეს საკიხს. შემდგომში რედაქცია თავის ფუნჯის ფურცლებზე დაუთმობს ადგილს სხვა შეხედულებათა ავტორებსაც ამავე საკიხის შესახებ.



ნენ ჰაუტემანის რომანს. რომანის დიდი ინტერესი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჰაუტემანი თავის გმირის წარუბრის აღწერასთან ერთად იძლევა მისი შინაგანი განათების, ბრძოლის და გამარჯვების სურათს—და ამას გარდა ყველაფერი წარმოდგენილია სუბიექტიურ ასპექტში. თანაც მემუარის ფორმა საკვირველის ოსტატობითაა დატვირთული. „ჩვენ თითქმის ცოცხალ“ ვენადეოს, ამბობს ერთი გერმანელი კრიტიკოსი, „რაღაც სასწაულით გადარჩენილ ლორენცს, საწერ მავლისთან პატარა ოთახში, რომელშიაც ზაფხულის პეიზაჟის ქროლევა ტრიალებს,— და ყველა ის საშინელება, რაზედაც ის მოგვითხორობს, თავისთავად ინსკვალემა შეუდარებელ, თვით ადამიანობით. იგი გამოჰყავის წმინდა, უკეთილშობილესად გაგებულ ქრისტიანულ ქალის ხატებიანს, რომელიც თითქმის დაჰყურებს მას ქალაღზე წერის დროს...“

ჰაუტემანის გმირი-ქალის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს იაკობ ვახტანგის ახალი რომანის „Ulrika Woytich“ ის გმირი-ქალი. გამოჩენილი მწერალი და კრიტიკოსი კურტ მიუნცერი თურნალ „Die Literatur“-ში ასე ახასიათებს მას: „ულრიკა ვოიტხის დაეფულა დემონი. უფრო სწორად, იგი თითონ დაეფულა დემონს. იქაც კი სადაც მას უყვარს—იგი საესეა მძულვარებით. სადაც იგი თავს სწირავს იგი ყოველთვის ღუპავს. მას მსხვერპლად მიჰქვს თავისი სიცოცხლე, რათა სხვა გადაარჩინოს; ვაღარე. ნილს-კი იგი მოჰწამლავს, სულს ათბევს. იგი გზას გაიკაფავს ბურჟუაზიულ სახლისკენ, აძლევს მას თავადის სახლის კლუტურს. მაგრამ სისხლსა და სულს გამოსწოვს მას. არასოდეს ის არაფერს არ იღებს პირდაპირის გზით და თუ, სადაც ეს სრულიად საჭირო არ არის, უნდა მოიპაროს, ძალით აიღოს; იგი სტკებება მაშინ, როდესაც სხვებს ვნებას აყენებს...“

ისეთის საკვირველის სიმკვეთრით და მასთან სიმაართით და ობიექტვობითაა გამოკვეთილი ეს სახე, რომ მისი შემქმნელის, ავტორის პიროვნებას სრულიად ვერ გრძნობთ მის უკან. ულრიკა ვოიტხის თავიბი საკუთარი სიცოცხლით ცოცხლობს, თავისი შემქმნელისაგან სრულიად გამოყოფილია, ამბობს მიუნცერი. ამასთან ერთად რომანი მშვენიერად ახასიათებს დღევანდელ გერმანიის მის აზრთა აღრგვით, გაუჭრვევლ მისწრვებით, იღვათა ბრძოლით და სხვა.—თუმცა არავითარ პოლიტიკურ მსჯელობას და ლაპარაკს ე წ. „ტემებზე“ რომანში ვერ იპოვით: უკანასკნელი დროის ფაქტებზე პირდაპირი მითითებაც კი არაა; ომები, რევოლუციები და სხვ. თუმცა არავითარ პოლიტიკურ მსჯელობას და ლაპარაკს ე წ. „ტემებზე“ რომანში ვერ იპოვით; უკანასკნელი დროის ფაქტებზე პირდაპირი მითითებაც კი არაა; ომები, რევოლუციები და სხვ. მხოლოდ გაკვირათაა ნახსენები; მაგრამ ეპოქის სული დაჰქერილია სწორედ, ხასიათებზე და ტიპებზე ნაჩვენებია ყოველივე იმის მოქმედება, რაც გაღიბათაა გერმანიამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში.

აქ აღსანიშნავია ის, რომ გერმანიის რევოლუციის აქამდე არა ჰყავს თავისი ჰომიოროსი, ესოდენ გახაზუურებული რომანი ბერნგარტ კალდერმანის „9 ნოემბერი“ იძლევა ბერლინის გადატრიალების მხოლოდ ნატურალისტურ სურათს, ყოველივე აღფრთოვანების ვარემ, მასში არაა მოვლენების და სულთა სიღრმეში ჩახედვა;

რომანი როპორტაჟისკენ იხრება და ზედმეტი საბუთია იმისა, რომ კვლევანში, წინეთ ისეთ საკვარველ ნაწარმების შემქმნელი, როგორცაა „ზღვა“, ძნელად თუ შესაძლებელია გადასვლის იმ ყალბ გზას, რომელსაც იგი დადგავს თავის „გვირაბში“.

გაცილებით უფრო დაკვირვებით და სერიოზულად მიუღვა რევოლუციის პრობლემებს ახალგაზრდა მწერალი გ. ვანერი თავის რომანში Der Aufrechte (გულწრფელი). გმირი ახალგაზრდა ენტუზიასტი—რევოლუციონერი; იგი ცოტათი მოვავგონებს ჯერ კიდევ ბავარიის ციხეში მყოფს ერნსტ ტოლერს; რევოლუციონერი მოვლენათა მსვლელობა გულს უტეხს მას და იგი ჩამოსტკლებდა ამხანაგებს, რომელთა უშარალესობა ან „შულდ-მაგარი“ დუქტორინიერებს, ან „რეგულაციის პანაზიტები“, მაგრამ სანამ ამხანაგები შურს იძიებდნენ მასზე, ქალაქი, სადაც მან პირველად აღმართა წითელი დროშა, თეთრების ხელში გადადის—და თეთრები ხერხერენ მას, როგორც საშინ რევოლუციონერს. რომანი საინტერესოა არა მარტო მთავარგმირის ფსიქოლოგიით, არამედ ყოფაცხოვრების ნოყური დახატებით და მარტყნა და მარჯვენა ფრთის „მოღვაწეთა“ მშვენიერად მოქმედ ტიპებით. გერმანიის რევოლუციის საუკეთესო რომანად თავის რეალისტური გადმოცემით უნდა ჩითვალის კლარა ფიბის „წითელი ზღვა“. ავტორი არ სწყევტს არავითარ პანაზიტებს, იგი იძლევა უპარალი, მაგრამ უკანასკნელ ზამამდე სიმართლით სასვე ყოფაცხოვრების სურათს, მას აქვს ერთი მშებდვით მეტად პატარა, მაგრამ სასებით მიღწეული მიზანი: იგი მოგვითხრობს, თუ როგორი გავლენა მოახდინებს დიდამა მშენებნებმა პატარა ადამიანებზე, მძიმე შრომით რომ სუფევენ და მუდამ რომ ღუქმა პურზე გურუნავს. აქ, რასაკვირველია, პირველობა ქალებს ეკუთვნის.

საინტერესოა შევადაროთ ეს რომანი მისი უხმოლ დატანჯულ და დღუბულ გმირებით ჩვენ შიკელს რომანს „Wir wollen nicht sterben“ („ჩვენ არ გვინდა სკვდილი“). აქ წინ სტავს არა ყოფაცხოვრება, არამედ ომის და რევოლუციის საშინელებით დაფუთული, მეტად ბერძნობითა და ღრმად ეთამიანური სული. შიკელე—ელზასელი ტომი; იგი მუდამ ერთმანეთად ახლოს გრძნობდა თავს გერმანულ და ფრანგულ კულტურასთან; თავის საშობლო ელზასში იგი ხედავდა ამ კულტურათა შეპაერთებელ რგოლს,—მაგრამ მან, რაც ჩვენ რომანი დატრიალებს, დაუსმხვრია ყოველივე იმედები. მისი რომანი—ომის და რევოლუციის ეპოქის სურათთა რიგია, მეტად აღზნებულ სულსიკვთებით მოცემული; მათში სულს ტანჯავებულ მისული მკვეთრი ძალა.

მეტად საკრძომბელია დოსტოევის გაველნა, რომლითაც ეხლა ასე გატაცებული გერმანია.

შიკელს რომანში რევოლუციის განიკლდინ უუკე როგორც მსოფლიო კატასტროფის.

ასევე უყურებს მას არნოლდ ულატი თავის ძლიერ და წარმეტაც რომანში „არარატ“. რომანის მოქმედება სწარმოებს რუსეთში,—რასაკვირველია, არა ნაძვლილ, არამედ თანატრატორ რუსეთში. ულატის მიზნად ჰქონდა არა ყოფაცხოვრების სურათის მოკეპა, არამედ მსოფლიო—ისტორიულის,—მას უნდოდა დაეხატა გვირგვინი, სიძულელილი და ძალადობაში ჩაბრწყალ თანამედროვე



მსოფლიოს დღიურების სურათის მოცემა; ძველი ინგრევა, და საღლიც შორის, კულტურულ ცხოვრებას მოწყვეტილ უდაბნოში, დანაშაულით და ბოროტობქმედებით დაძმობულ ადამიანთა შორის, სიყვარულით და ქმედითი შრომით განწყობის ძალა რომ მოუბოვებიათ,—იბადება ახალი და უცხოეთის ცხოვრება.

ულიტის რომანთან რამოდენიმე საერთო ხაზი მონიშნავს ალფონს პაკეს რომანში „Die Pr. phleizeungein“ (წინასწარმეტყველებანი), რომლის მოქმედება აგრეთვე რუსეთში სწარმოებს. მაგრამ პაკე ულიტცზე უფრო იცნობს რუსეთს; ოამედ მან ბევრი იმოგზაურა მთელ მსოფლიოში, დიდი ხანი ათავალიერა ციმბირი და თავის მგზავრის მრავალ წერილებში გვევლინება როგორც მეტად დაკვირვებულ მეთვალყურე; იგი პირველი იყო იმ გერმანულ ჟურნალისტია შორის, რომელთაც ინახულეს მოსკოვი 1917 წლის გადატარალის შემდეგ; მისი წერილები, „Frankfurter Zeitung“-ში დაბეჭდილი შეკრებილია მეტად ფასდასაღებ წიგნში „Aus dem kommunistischen Russland“, (კომუნისტურ რუსეთიდან) და მეორე მისი წიგნი „Der geist der russischen Revolution“ (რუსეთის რევოლუციის სული) წარმოადგენს ერთ-ერთ პირველს და გამარჯვებულ ცდას დასავლეთ ევროპის ქუჩისათვის გაერკვიოს ესოდენ მიზნიდელ და ძნელად გადასაწყვეტ რუსულ პრობლემაში. პაკეს რომანი „წინასწარმეტყველებანი“ ზოგიერთი თავისი ფურცლებით მოვლავონებს „ოთავდასავლის რომანებს“, ისე ათამაშებს ბედი მის გმირებს და გადაჰყავს ისინი ყირიმთან ციმბირში და ციმბირიდან ფინეთში. მაგრამ საქმე ამ ოთავდასავლაში კი არაა, არამედ ავტორისაგან მშვენივრად დახატულ რუსის მატრისის ხატებაში, რომელიც ატარებს განაც მიოლის საოცარ სახელს და რომელიც რუსეთის რევოლუციის სტიქიურ ხასიათის ნამდვილი განს ხიერებაა. საღლიც ციმბირში იგი არსებობს ფანტასტიურ დაიად ჩრდილოეთის კოშქანს“ და ამ კოშქანში მკვიდრია შორის წარმოდგენილია ევროპის თათქის ყველა გროვებმა, დახატული მეტად დამახასიათებელ და არა შაბლონურ ხატებით.

ულიტის და პაკეს რომანები უახლოვდებიენ რომანის იმ ტიპს, რომელიც ყველაზე უფრო უყვარა თანამედროვე გერმანიაში—და მეტად გასაგებ მიზეზებითაც. როდესაც აშქო ესოდენ უნეტგემა, სული ძალანუნებურად ან მომავალსაქენ და ამ წარსულისაკენ ისწრაფვის. და ამიტომ უტოპიურ და ფანტასტიურ რომანებთან ერთად დიდი გასავალი აქვს გზლა აგრეთვე ისტორიულ რომანებსაც, რაია თქმა უნდა ამ ორთავე დარგში მრავალადა წმინდა საბაზრო ნაწარმოებები; მოთხიენილება, რა თქმა უნდა, უხვ მიწოდებსაც იწყევს. ფანტასტიურ-უტოპიურ რომანების ჩვეულებრივი მოტივა—რაიმე სტიქიურ კატასტროფის გამო მთელი კაცობრიობის დაღუპვა; და, რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში წარლუნს ყოველთვის გადაურჩება მკითხველ ჯგუფთ ბედნიეროთა, რომელთაც წილად უნდა ხედეს კაცობრიობის ისტორიის ხელახლად დაწყება; და, რა თქმა უნდა, ამათ პირველ ყოვლისა მიწის დაუშუქებას უნდა მიჰყინ ხელი,—და სწორედ ამაში იხატება ახალი გერმანულ მწერლობისათვის დამახასიათებელი მოტივი: ლტოლვა მიწისაკენ, თანდათან მიოლადა ქალაქით. მომავლად

ქალაქის ტემას თავისებურად იყენებს მეტად მახვილ ავსტრიულ მწერლის კარლ-ჰანს შტრომბლის რომანი „gespenster im sumpf“ (ჰომის მოჩვენება). მოქმედება სწარმოებს ენაშა, 10—20 შემდგომ მსოფლიო ომისა. ოდესღაც ბრწყინვალე სატახტო ქალაქის მკვიდროთა უმრავლესობა ამოხიარა შიმშილმა და ევიღვინა; ცოცხლად დარჩენილი თავს იფარებენ საღლიც კუთხეებში და საზრდობენ უცხოელთა ნაბოძართა: განსახლებულ ვადებში დუნით მიდის ხოლმე ამერიკული გემი და მოაქვს ვენელებისათვის ფევილი, კარტოფილი, მწვანისლის და ხორცის კონსერვო და სხვ.; ყოველივე ეს რივდება სასტიკი სისტემით საერთაშორისო კომიტეტის მეთვალყურეობის ქვეშ, რომლის წევრებაც ავეთ მხოლოდ უფლდა ქალაქში შეესილი და იქ დარჩენის,—და ისიც იმ პირობით, რომ ისინი სასტიკად დაიცვენ ყოველგვარ პოლიციურ და სანატარულ განკარგულებებს, რადგან ქალაქში მკინაზებას გადაამტეხი სენი და თარეშობს ბოროტმოქმედ დველურებულ მკვიდრთა დასებია. არც ერთის კომიტეტის წევრს ნება არა აქვს მარტო, თავის იმედით, ისეარნოს ქალაქში: ძალიან ბევრი ამერიკელი მოქალაქე დაიდუნა ასეთი დაუღვევრობის გამო. რომანის მთავარ შინაარსს შეადგენს, რასაკვირველია, ერთ ამნატებულ ამერიკელ მანდილოსნის ოთავდასავალი, მისი საკვირველი შვევერები ყოველნარი ტიპის ვენელებთან—ამათში ყველაზე უფრო კურორთული უფოთი უქანსკენელს „ჰოჰრატიკა“, სამინისტროს ბეჯითი მოხელე, რომელსაც თავის დეპარტამენტის და „შემოსულ“—„გასულ“ ქალაქლების ვარქუე ვერ წარმოუღვინია ოცეცხლი; იგი ყოველდღიურ პუნქტუალიზით, რომელიც სოციალური წლის სამსახურის განმავლობაში გადაექვა მას მეორე ბუნებად, მიდის ცირივე, გაყინულ და ნახევრად დანგრეულ სამინისტროში, მოუღვინა საწერი მაკიდის თავის კამინეტში და დაიწყებს „საქმის“ ქალაქების ვადლაგებას. პირველ წაითხვის დროს შტრომბლის რომანი ვადამცდარ კოშქარის და ველურ პოღვის შთაბეჭდილობას ახდენს, მაგრამ, ჰამლეტის სიტყვებით რომ ესთქვათ, მისი სიგიყე არა თუ მეტროდიურია, არამედ მასში ღრმა და ცოცხალ სიმართლესაც იგრძნობთ.

ისტორიულ რომანის დარგში წარსულ წელს გერმანულმა ლიტერატურამ შეიძინა შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც ეკუთვნის მწერალ-ქალის კალამს. ესაა—რომანი „ლავირინით“ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალი-ქალის ინა შევილის, რომელმაც საღლიც ვითქვა იმის დროს თავისი მომზობლავი ლირიკით. „ლავირინით“—რომანი ბიოგრაფია; და მისა გმირმა—განთქმულმა მწერალმა, გეოგრაფმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ გეორგ ფორსტერმა, ჯერ კიდევ ბავშვმა კუქთან ერთად მთელი მსოფლიო მოიარა; მერმე უკვე მომწიფებული ვაჟაკი იგი ესხვევა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ზართოში და ფრანგების მიერ დაკავებულ მანკილან დებუტატად იქნა არჩეული კონვენტში. ინა ზევილის რომანი იძლევა ამ ოთავებდურ ხასიათის განვითარების ისტორიის ყაწველიობიდან მიყოლებულს.—გვიჩვენებს ჯერ ბავშვს, რომელიც იზრდებოდა მოხუც მამის, განსწავლულ პედანტის თვალყურის ქვეშ, რომელიც სულ იმას ფიქრობდა, რომ შვილი გამოსულიყო „მენციერების მწათობი“ და შვიდი წლის ბავშვს უმარხებდა თავის მეცნიერულ ტრატატებს და



სისტემატიურად ჰკლავდა მასში ყოველივე ბავშვებს, უშუალოდ, სიციცხლის წმინდა ხალხის ასეთმა აღზრდამ მოშლილობა ჩაუთესა სულში ახალგაზრდა გეორგს, მოშლილობა, რომელიც სიციცხლის ბოლომდე ვერ სძლია მან და რომელმაც ჩაკლა ყველა მისი წმინციანი. საუცხოვარო რომანის ყუთვა-ცხოვრების და ისტორიული ნაწილი—საუკეთესო ფურცლებს ეკუთვნის ახალგაზრდა ფორსტერის მამასთან ერთად რუსეთში ყოფნის ამბავი; დიდებულთა და დახატული ეკატერინის სასახლის კარი ყველა მისი ბრწინივალე, კავალტერის, რომელთა შორის ფორსტერი—მამა, თავის და შეუშინველია მეტად დამაღონებელ და სასაცილო როლს თამაშობს; მშვენიერი ანა აგრეთვე უხე ვერადებით გადმოცემული აღწერა ვოლგაზე და აშტრახანის ველებზე მოგზაურობისა.

ინა ზეიდელის გვერდით უნდა დავავსოთ კიდევ ერთი მწერალი ქალი, რომელიც ერთი წლის წინეთ გავმოვიდა შესანიშნავ ისტორიულ რომანით—**დუღუ ჰაფ-შტარუხ—უტ-ტორნიე**, ავტორი რომანის „საშინელი განსჯა“. რომანის მოქმედება სწარმოებს მე-XVI საუკუნეში, შუა-გერმანიის სოფელში, რომელსაც მოსდებია ანაბატისტური მოძრაობა. არა-ქალურის სიძლიერით და დიდის ტემპერამენტითაა დახატული „მორჩუნეთა“ ფანატონი, მათი შეტაკებები ძველი ეკლესიის წარმომადგენლებთან, ბოლოს ის ევლერი აღვირახსნილობა, რომელიც მოიცავს ყველას მას შემდეგ—რაც ისინი იწყებენ წინასწარმეტყველებას ქვეყნის ალასირუსის დაღვრებას, შუა-გერმანიის სოფელში, რომელსაც მე-XVI საუკუნეს და მასში არ მოიპოვებ ერთი ბაზიკა კი, რომელიც არღვევდეს, ისტორიულ კოლორიტს,—და მიუხედავით ამისა იგი მაინც ახდენს უახრესად თანამედრობის შთანბვლილებას,—იმდენად უსაზღვრებდა იმ დროის ადამიანთა განცდანი მე-XX საუკუნის დიდ რევოლუციების მონაწილეთა და მნახელთა განცდებს. რომანის გმირები უხეში, პრიმიტიული გლეხებია და სწორედ ასეთი ადამიანების სულისკეთება სოცარის სისწორითაა დაქერლი.

სერიოზულ ყურადღების ღირსია ახალგაზრდა ჩრდილო-გერმანელ მწერლის ჰანს—ფრიდრიხ ბლუნკის ისტორიული რომანი „Hein Hoyer“, 1922 წლის დამლევს გამოსული. მოქმედება სწარმოებს საშუალო საუკუნეთა დამლევს ჰამბურგში მთავარი გმირი ჰინე ჰოიერი მძიმე, ჯიუტი ბურგომისტრის ტიპია, რომელსაც არ ძალუძს თავის გრძობისა გამოთქმა, და ამიტომ იგი უფრო ღრმად და მძაფრად განიცდის მასში განსახიერებულ ამაყ პანზელის ტიპს. მშვენიერადაა დახატული გარემო: რანინდები, გრაფები, გლეხები, მეზღვაურები, სტუდენტები, სალდთები. რომანის ენაც სახეებით ჰარბობს, ლაკონიურია—და ეს აძლევს ცალკე პერსონაჟებს განსაკუთრებულ მონუმენტალურ ჰაუს ქაუ-ობს.

მეტად ფართო სურათს იძლევა **ედუარდ სტუენი**, დიდათ ნიჰეირი დრამატურგო—რომანტიკოსი, თავის ოთხ-ტომიან რომანში „Die weisen götter“ (თეთრი ლეკოები). ტექსტიაა ადრეულ—მექსიკის დაპყრობა ესპანელების მიერ. ავტორი მიზნად ისახავს დახატოს ძველ, უფაქიზეს კულტურის დაღუპვა უხეში ძალიანობის ქვეშ. ეს კულტურა მწერალს საოცარის დაწერილებით შეუსწავია, რის გამოც მისი რომანი უდიდესის ხელოვნებით შესრულებულ მოზაიკის წარმომადგენს, უთვალავ ქვებით

შემკულს, ცისარტყელს ყველა ფერებით რომ თამაშობენ. ყოველივე ახალი და თავისებურია იმ სასურაოში, სადაც ჩვენ შევყავართ ავტორს, არაფერი არ მოგვგავონებს მას, რასაც ჩვეულბრეო ვეხდავთ ჩვენს ვარშეში, და თვით ეგზოტიზმი სურათისა ისე აოცებს მკითხველს, რომ დრო და დრო მისთვის დაწრდობობს რჩება მწერლის მიერ დახატულ ტრაგედიის საკაცობრიო მნიშვნელობა. და მხოლოდ წიგნის გულდასმით გადაკითხვის შემდეგ აშკარა იგრძობა, რომ უმთავრესი მწერლობისთვის მინიჭ ტრაგედია იყო და არა ეგზოტიკა. მონტეშუმის სამეფოს დაღუპვა, რომელიც ჰაუტმანსაც ჰყავს გამოყვანილი მისი დრამის „Der weisse Heiland (თეთრი მესია)—იას გმირად,—ორი ქვეყნის შეჯახების შედეგია და მთელი ისტორიული დეტალები მხოლოდ იმისთვისაა გამოყენებული, რათა მეტის სისრულით ყოფილიყო დახასიათებული ეს ორი ქვეყანა, მათი შეჯახების და ერთი მათგანის დაღუპვის აუცილებლობა. ცალკე გმირები—ჩქნება ეს მონტეშუმეა, კორტესი თუ მექსიკელი მარინა, კორტესის საყვარელი—თუმცა საკმაო სისრულით არიან წარმოდგენილი—მოზაიკაში ჩართული მანა ქვეს ჰკვანან; მთავარი ძარღვი მათში კი არა, იმ დიდ ბედისწერაშია, რომელიც უნდა აღსკრულდეს.

ეგზოტიკურ გარემოში შეყვავართ აგრეთვე **გერმან გესეს** რომან-ლეგენდას „sildeharta“-ს, რომელიც ერთი იმ შრავალ სიმპტიმათიანია თანამედროვე გერმანიის ლტოლვას რომ გავყვენებს აღმოსავლეთის ფილოსოფიისადმი. მეტად საშინელია ის უფსკრული, რომლის პოთთან მიიყვანა გერმანია მისმა ყალბ მიზნისაკენ მიმართულმა გადაჭარბებულმა აქტივობამ. იმედების ვაცრუების, სასო-არაკეთის და შეტრდობის შეცნების შედეგია ერთი მხრით მუდღებშით და მეორეს მხრით დოსტოევსკით გატყუება. იგივე გერმან გესეს—ერთი უდიდესი თაყვანისმცემელია „ილიოტიკ“ და „კარაზაზოების“ ავტორის. ლეგენდაში „სიდახარტა“ იგი მოგვითხრობს ახალგაზრდაზე, რომელსაც მოსწყურებია სიბრათვე. შემდგომ ეს ახალგაზრდა ხდება ასკეტი, მოგზაურობს წმინდა ადგილებში, ყველა სათნოებით შემკობილ ბრძენის სახელს მოიხვეჭს,—მაგრამ მაინც თავის ქმაყოფილი ვერ ხვდება. და აი აქ იგი ბუღდის მოწაფე ხდება, დიად მასწავლებლის ფეხთა ქვეშ იგი იმსჯელებდა შემდეგი რწმენით: სულს ანთავისფლებს არა რომელიმე სწავლა და დოგმა; აუხლდ თვით ცხოვრება, განცედა. და უდაზნოდან იგი ცხოვრებისაკენ მიეშურება—და მისი საშუალებით მართლაც აღწევს მარადიულ მსოფლიო მთლიანობის უქანსენელ სიბრძნეს, რომლის აზრით შეტოვდება იმეობდა შეწყობება, ბავშვში—მოხუცი, სიციცხლში სიკვდილი და სიკვდილში საუკუნო ცხოვრება. ამ საუკუნო სიბრათლის მისაღწევად არაა საჭირო არც სწავლა, არც განცედა—ამისთვის საკმაოა მხოლოდ სიყვარული. და ამიტომია, რომ სწავლა, დოგმატები ვერ აკუთნებენ სულს სიმშვილეს, ისინი მხოლოდ სიტყვებია, და სიტყვების შეყვარება კი შეუძლებელია, მხოლოდ ნიეთე-მანადმი შეიძლება სიყვარული. კაცისათვის, რომელიც სიმშვილეს ეძებს—სიტყვები მხოლოდ დაბრკოლებაა. რად-გან ბევრი არაა, რაც ნიეთად მიაწინათ მხოლოდ სიტყვაა, ასეთია თვით ნირვანაც. „არ არსებობს ნიეთი—ნირვანა, არის მხოლოდ სიტყვა ნირვანა“.

კურტ მოუნცერი ასე ლაპარაკობს „სიდახარტე“.

მოთხრობის უკანასკნელი მესამედი, სიღპარტას ცხოვრება მდინარესთან, მისი წუხილი შეიღზე, მისი ცხოვრება მოხუც გადამზიდველთან და მოთხრობის უმაღლესი წერტილი: შეხვედრა მეგობართან, რომელიც მისი სრული წინააღმდეგობაა,—ეს ორმოცდაათი ფურცელი შეადგენს ყველაზე მშვენიერს, ულამეს და უწინდესს მასში, რაც ოდესმე შეუქმნია ვერმან გესესს. იგი ავტორია წიგნების, რომლის გმირები სიღპარტაზე უფრო ახლო ღვანან ჩვენთან, მასზე უფრო გვენათესავებიან ჩვენ, მათ უფრო მძლავრათ აღუღლებიან ჩვენი სისხლი და გაუტაცებიათ ჩვენი სული. მაგრამ „სიღპარტა“ ბადებს ჩვენში ისეთ გრძობას, რომლის გამოწვევა შეუძლია მხოლოდ პოეზიის უდიდეს ქმნილებათ, ისინი არ გვატირებენ ჩვენ, არამედ გვაკებენ მოკრძალებით.“

რეალისტ მწერალთა შორის უკანასკნელ დროს წინ წამოიწია იხებ პონტენი (დაბ. 1883), მშვენიერ რომანის „Der babylonische Turm“-ის ავტორი, რომელმაც მოგვცა ფართო (ბაბილონის გოდოლი) ფერადების ნაკრებით შესრულებული al fresco-სტილის ომის წინა ეპოქის კაბიტალისტურ ორგანოთა სურათი და მთელი რიგი მოთხრობათა—„ქალწულობა“, „ოსტატი“, „კუნძული“ და სხვ. პირველად პონტენი ხუროთმოძღვრებისათვის ემზადებოდა და ეს ამწევი ყველა მის ლიტერატურულ ნაწარმოებზე. ყველა ისინი განსხვავდებიან მოახლოებათა გარკვეულ სახით და მწყობრ არტიკულაციით. მეტ წილად იგი გვიხატავს მის მშობელ მხარეს, რენთან მცდებარე გერმანიის ბურჟუაზიულ საზოგადოებას; მისი მსოფლმხედველობა დამშვიდებული და ფხიზელია; იგი მაგრად სდგას მიწაზე და ფიქრადაც არ მისდის აქ უკან ყოფნა მიიღოს სხვა საზღვართა იქეთ მყოფ ყოფნის ანატიკლად. ერთ-ერთ მის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს მისი სალი ჰუმორი.

პონტენი ხშირად ადარებენ გოტფრიდ კელერს, რომელთანაც მას აახლოებს ფხიზელი მსოფლმხედველობა, ნათელი და მარტივი ენა, კლერსავე ადარებენ მეორე რეალისტ მწერალს, რომელიც პონტენზე გაცილებით აღერ გამოვიდა, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ წლებში მიიპყრო ფართო მკითხველ საზოგადოების ყურადღება—ესაა ავსტრიელი ოტტო შეტსხელი (დაბ. 1875). განსაკუთრებით დიდა მითქმა-მოთქმა გამოიწვია მისმა უკანასკნელმა რომანმა „Das Naus Frvath“ (ვეს სახლი) 1920 წელს გამოცემულმა, რომელიც შლის მკითხველის წინაშე ენეულ პრაქტიკული ოჯახის წევრთა კულთვილი დიდ საუკურო ფარმის სურათს; ამ ოჯახის წევრები არიან რომანის გმირები. ცოტა რამ მოვავაგონებს ტომას მანის განთქმულ „ბუნდენბოკებს“, მაგრამ კოლორიტი და ძირითადი განწყობილება რომანისა სულ სხვაა, რადგან ვენა არ არის ლუთერული და საბრთი კიდევ—რადილოეთი. ერთი გმირის—მწერალ მაინონეს სახით—ავტორი ნაწილობრივ თავის თავს გვიხატავს—და იი როგორ ახასიათებს იგი ამ გმირს: „იგი ძველ ავსტრიის ერთი იმ მოხელეთაგანი იყო, რომელნიც თავის მოსაწყენ და მძიმე პრაფესსთან ერთად, ყოველთვის აწარმოებდნენ თავის ქვეყნის და თანა მემამულეების შეთვალურებას. ღამით იგი იჯდა წიგნებით სასე დიდ ოთახში, საიდანაც მოსჩნდა ფართოდ გადაშლილი ბალები, გორაკები და ანათებული ცქცხლები ქალაქისა,—და კაცთა ბედ-იღბალზე და თავდადასა-



ქალის პორტრეტი. ნახ. ირ. თოქისი.

ვალზე სწორად უმეტესად თავის სიამოვნებისათვის. ვიდრე თავის გულგრილ თანამეორვეთა გასახარებლად. თორი საკუთარ განცდსა და გარშემო მყოფ სინამდვილისაგან იგი ისეთ ქსოვილს ქსოვდა, რომელიც სულ იზრდებოდა და შიგ იტანდა ახალ და ახალ ქრულ ძაფებს ამ ისტორიებიდან მის წინაშე აღიპართებოდა მისი დროის კომედია როგორც ჯადოქარის წინ, რომელსაც თვითონ არც სურის და არც შეეძლია შიგ მონაწილეობა მიიღოს. ამ ამბებში იგი ხატავდა ძველ ავსტრიას. რაც არ უნდა იყოს მას უყვარდა იგი ისე, როგორც ბავშვს უყვარს ქვს ზემოდ დაგდებული ძველი ავეჯი, რომელსაც ბაღლი განანავებს მით უფრო მეტი სიტკბოთი, რაც უფრო ატაკებს მის გულს უფროსი წიგნი შიში. მას უყვარდა ეს უკანაური სიყვარული თუქა იგი ტანჯავსაც აყენებდა მის. უყვარდა როგორც დამიანს უყვარს თავისი ქვეყანა და სიცოცხლე, რომელთანაც დაკავშირებულია ჩვენი ფიზიკური არსებობა და მასთან ჩვენი სულიც, რომ არაფერით ვთქვით იმაზე, თუ როგორ იყო სულდამული თვით მწერალი შემთხვევის იმ გვიანტურ ქმნილებით, რომელიც ავსტრიის სახელს ატარებდა, თუ როგორ იღებდა იგი თავის მოთხრობათა სახეებს და ამბებს ამ ზეიად სახელმწიფოებრივ სისულელედან. აქ ჰპოვებდა იგი თავის სულიერ საზნოებს, თავის მოქმედების და ტანჯვის სასაცილო მიზანს. ისტორიულ ევოლიუციას რომ გამოეცალა მისთვის ეს ძველი ავეჯი, იგი დაჰპარავდა მთელ მსაყაროს, სამეფოს, რომელსაც—როგორც მას გვანა—იგი გა-





ნაგებდა უკეთესად ვიდრე მძლავრნი ამა ქვეყნისა განაგებენ ამ დამაბრუნებელ სინამდვილეს. სწორედ ასეთ მდგომარეობაში ჩაეარდა იგი ომის ხუთი წლის ველურ სიზმრის შემდეგ, რომელთა განმავლობაში მან საკმაოდ იშემიშლა და სასაცილო ნახევრად მშვიდობიან რევოლუციის შემდეგ ღამის თავ-სახურავის მაგიერ დაიხურა წითელი იაკობინური ქული. რაღაც ახალი იწყებოდა, იგი კი უკვე საკმაოდ ხანში შესული იყო, რომ ყოველივე ეს გაერკვია ან და ფიქრობდა, რომ ისეთ საკვირველ და მშვენიერ სათამაშოებს ის აწი ვეღარ მიიღებდა, რომ სისულელე ძალაუფლებით ან სისულელე უმღერებობით არა-სოდეს აღარ მისცემდნენ მას ესოდენ მრავალ ობიექტს დაკონცისა და შემეცნებისათვის. ამას გარდა ღირდა ვითომ კიდევ ცდა სანამ საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა ახალი სისულელე, რომლის მოსვლა უზრუნველყოფილი

იყო პოშვინოურ რესპუბლიკის მზა-მზარეულ ეტიკეტის ქვეშ?"

ეს ამონაწერი მშვენიერად ახასიათებს შტესსელს, — მის სტილს, და დამოკიდებულებას თავის გმირებისა და სიუჟეტებისადმი. წინააღმდეგ პონტენის პოზიტივურ რეალიზმისა იგი ტიპიური წარმომადგენელია ირონიულ რეალიზმისა. ამასთან ერთად ეს მწერალი დაჯილდოებულია მეტად მდიდარ ფანტაზიით, იგი ოსტატია ყოველგვარ „გამოფინებათა“, იტაკებს მკითხველს პირველ ყოვლისა თავის მოთხრობათა თავშესაქცევ ფაბულით, რომლის ხშირად უახლოვდება „თავდასასავალის რომანის“ ტიპს, მაგრამ არასოდეს არ დაქვეითდება საბაზრო „ბელეტრისტიკამდე“.

ლალიკიგი.

პროფ. ა. ლაუტერ.

### ირაკლი თოიძე

ახალგაზრდა მხატვარი ირაკლი თოიძე 8 წლის იყო, როდესაც ხატე დაიწყო, 11 წლისამ ნახატები გაეზავნა ქ. მოსკოვს სურათების გამოფენაზე. „საბაჩი პაღვალ“-ში. გამოფენაზე სხვათა შორის მისმა სურათებმა ყურადღება მიიქცია მხატვარ პროფესორის კულბინის, რომელმაც ამასთანავე შეიძინა თოიძის 20 ნახატი. კულბინი დიდად დაინტერესდა ახალგაზრდა ურმა მხატვრის შემოქმედებამ. ამ გამოფენაზედვე ასევე 30 ნახატი იყიდა პეტროგრაველ—მხატვარმა პსკოვიტინოვმა. შემდეგ ამ სურათების რეპროდუქციები დაიბეჭდა მოსკოვში გამოცემულ წიგნში, სათაურით, „ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედება“, რამაც საზოგადო ყურადღება მიიქცია. შემდეგ ამისა 1914 წელს, პროფეს. კულბინი ჩამოვიდა ტფილისში. მან აქ ლექცია წაიკითხა ფულტურისზედ. ლექციებზედ მიიხსენია ირ. თოიძეც აღნიშნა მისი ორიგინალური, მანერა ხატვის და ნიჭი.

1919 წელს, ქართველ მხატვართა გამოფენაზედ ირაკლი თოიძემ თავისი სურათებით და გრაფიკულ ნახატებით მთელი საზოგადოების და პრესის ყურადღება მიიპყრო. ამ გამოფენაზედ მისი გრაფიკული ნახატები ძლიერ მოეწონა მხატვარ სუდეიკის.

ეს ნახატები შეიძინა ეროვნულმა გალერეიამ. ამავე დროს გაიყიდა მისი სურათები თითქმის ყველა.

1921—1922 წლებში, ირ. თოიძეს ჩვენ ვხედავთ მომუშავეს დეკორატიულ მხატვრობაში. მავალითად მან დახატა დეკორაციები შემდეგს თეატრებისთვის: ოზურგეთის, ქვიშხეთის, ასკანის, და სხ.



მხატვარი ირ. თოიძე. ავტობოტრეტო.



მის უქანსკენლ წლების ნახატა შორის ყურადღებს აქცევს: ფერადებით ნახატი სურათები ტილოზე, „მთის იდილია“, „ჯირითი“, „დღეობა“, „ქელის პორტრეტი“. (ეს სურათი ეროვნულმა გალერეიამ შეიძინა ამ მოკლე ხანში საკუთრივ და ეროვნულ გალერეიაში ინახება) და დიდი ტილო „რევოლიუცია“.

უქანსკენლ დროს ირ. თოიძე სახალ. განათლების კომისარიატის მინდობილობით გაემგზავრა გურიაში, რათა ადგილობრივ დაეხატა სურათები ევ. ნინოშვილის თხზულებათათვის, რომელიც მოკლე დროში გამოვა.

**ფოტოგრაფიკულუზგრაფია ანუ უმავთულო ფოტოგრაფია.**

ამ რამოდენიმე თვის წინად ევროპის პრესაში აღნიშნული იყო ახალი გამოკვლევა უმავთულო ტელეგრაფის სფეროში რადიო აპარატის საშუალებით ხელთნაწერის გადაცემის შესახებ სრულიად დაუმახინჯებლად. ამ ცნობის გამო მრავალი სპეციალისტი ამუშავდა საბოლოოდ ამ პრობლემის გასამარჯვებლად, დაიწყეს შესაფერი მუშაობა. პირველ ცდებიდან — ფოტოტელეგრაფიის დღევანდელ მდგომარეობამდე — გაბმულია გარკვეული, სწორი გზა ვანუწყებელი განვითარების და გაოთხლებისა.



პროფ. დოქტ. ა რ ტ ვ ი ჯ კ ა რ ნ ი. უმავთულო ფოტოგრაფიის გამოგონი.

ტენიკაში ძალიან ცოტა მაგალითებია, მსგავსად ფოტოგრაფიკულიზგრაფიისა, რომ პრობლემის დასმისთანავე დაუყონებლავ წარმომდგარიყოს იდეა, რომელიც დაბოლოებულ, გარკვეულ და პრაქტიკულად გამოსაყენებელ ფორმაში უცვლელად ჩამოყალიბებულიყოს, იდეა, რომელიც უმჯობესდებოდეს და ვითარდებოდეს თვით ტენიკის წინსვლასთან შეთანხმებულად — ისე როგორც ამას ადგილი ჰქონდა უმავთულო ფოტოგრაფიისათვის.

პირველი ცდა უმავთულოდ დაწერილ სიმბოლოს

სურათები სამხატვრო კომიტეტის მიერ მოწონებული იქმნა, ირ. თოიძე აგრეთვე დახატა ქართველ მწერალ-მოღვაწეთა რამოდენიმე პორტრეტი.

ამ მოკლე ხანში ირ. თოიძე მიემგზავრება ლენინგრადს, ხოლო იქიდან დაბრუნების შემდეგ, სახელმწიფო მთავარ კომიტეტის შეამდგომლობით ის გაგზავნილ იქნება მთავრობის მიერ სახლვარ-გარეთ.

3. ბ.

ვალაცემისა, მოახდინა ინგლისელმა ფიზიკოსმა ბეკულიმა 1847 წ-ში. მან გამოიუმუშავა ვალაცემი აპარატის ის კონსტრუქცია, რომლითაც დღესაც უსარგებლობთ. ვალაცემი შრიფტს, ან ნიშნებს აღნიშნავდენ ხოლმე გაუტარებელ მელნით სტანიოლის ქაღალდზე, რომელიც დახვეული იყო საგანგებო ცილინდრზე, ცილინდრზე დამაგრებულია ლითონის კალამი, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია გაუტარებელ სახელურთან და საათის მექანიზმით განუწყვეტლავ განაგრძობს მოძრაობას პორიზონტალურ სიპრტეხში მარჯვნიდან მარცხნივ. როდესაც ცილინდრი ბრუნავს, კალამი ხაზავს ხრახნილს (სპირალი), რომლის აბპლიტუდი შეიძლება სურვილისამებრ შეეცვალოს. ესლა დაუკავშიროთ ლითონის კალამი ელექტრონის ჩქერის წყაროს და შემდეგ მიწას, ცილინდრი კი შორგამეტარს (ანტენი), მეორე სადგურზე (მიმღები, რამოდენიმე ასი ან ათასი ევრსის მანძილზე) პირიქით ცილინდრი შეეფერთოდ მიწას და კალამი ანტენს. ამავე სადგურზე ცილინდრს შემოხვეული აქვს იოდიანკალიუმით დასეკლებული ქაღალდი, რომელიც თავისთავად უფერული, ელ. ჩქერის გავლენით გაფერადდება. კალამი ამ ცილინდრზე იმავე მოძრაობას შეასრულებს შეთანხმებული ჩქერის საშუალებით, რომელსაც ასრულებს პირველ სადგურზე და ასე ამრიგათ მიმღებ სადგურზე ფერად ქაღალდზე შრიფტს მივიღებთ თეთრად დაწერილს.

მაგრამ ასეთი ოპერაციის ნაკლი სხვათა შორის იმაშიც მდგომარეობდა, რომ მიღებული შრიფტი არ იწყ-



ტელეგრაფიით გადაცემული სურათი რომიდან ერიტრეაში (აფრიკა).



რება განუწყვეტელი სახით, და შესდგება წყვეტილ მონაკვეთებისაგან, სპირალის ნაწილების სახით. მანძილი ამ წყვეტილ მონაკვეთთა შორის შეიძლება საკმარისად მკვირდი გაეხადოთ, მაგრამ ეს აღიდებს გადაცემის ხანგრძლივობას.

ამ ნაკლის გამო მეტეილის ცდა პრაქტიკულად გამოუყენებელი დარჩა. მხოლოდ მას შემდეგ რა, კასელიმ მეტეილის აპარატი გააუმჯობესა (კასელის ცდასაც დღეს მხოლოდ ისტორიული ინტერესი აქვს) შესაძლო გახდა პარიზიდან ამერიშა და პარიზიდან ლიონში პირველი ტელეფონოგრაფიული კავშირის გაბმა.

კასელიდან დაწყებული ყველაფერი, რაც დღეს მიღწეული აქვს უმათელო ფოტოგრაფიის—მიღებული და შესწავლილია გერმანულ მეცნიერის პროფ. კორნის მიერ. პირველი მიზანი დაწყებიდანვე იყო გადაცემის სიჩქარის გადიდება. ამასთანავე ელექტროტექნიკურ მიმდებრის ნაკვალად მან გამოიყენა ფოტოგრაფიული მიმდებრ. ამხარად ძველი მიმდებრ თითქმის კამერა—ობსკურით შეიცვალა და იოლკალიშპიანი ქაღალდი სინათლისადმი მგრძობიარე ქაღალდით. სინათლის სხივების შესაფერი რეფრაქციით ფოტოგრაფიულ პრინციპზე, კამერაში ელექტრონული გადასაცემის შრიფტის ნეგატივს.

ჩვეულებრივი ლამპების მაგივრად პროფ. კორნმა გამოიყენა აგრეთვე ვეისლორის მიღები, რომელიც ელ. ჩქერის გავსისთანავე ანთება ხოლმე და მისი ვასკულისს მყისვე დაქრება. ცნობილია რომ მზიდაროს (მაგნიტი) ელში მოთავსებულ ორი გამტარი გადახიზრებიან ელ. ჩქერის გავლენით ამ პრინციპზე აგებული ევგარდროდებულ გაღვნიომეტრი ფოტოგრაფიურადიში კორნმა გამოიყენა ძალიან ფართოდ ვალეანომეტრიული პრინციპი.

გაცილებით უფრო რთულია საითხი ფოტოგრაფიის გადაცემის შესახებ. აქ შესაძლოა არსებობდეს სხვა და სხვა და მრავალგვარი ფერი და სიხცხადე. მთელი მუშაობა და გამოკვლევა პროფ. კორნისა სწორედ ამიტომ ამ საკითხში მიმართული იყო მეტი ნატურალიზმის, მეტი მგავსების მისაღწევად რადიოფოტოპორტრეტსა და ორიგინალს შორის.

შესანიშნავი შედეგების მიღწევა შესძლო პროფ. კორნმა მისი მუშაობის შედეგად. აქვე მოთავსებული სურათები საკმარის მოწმობას აძლს; ერთი ნაკლი აქვს ფოტოგრაფიოპორტრეტს, რომლის თავიდან აცილება მორიგ ამოცანას შეადრებს; ეს არის ის გარემოება, რომ ფოტოგრაფირსურათი დასერილია მრავალი ევრტიკალი და ჰორიზონტალი ხაზებით, რომელნიც ანაწილებენ სურათს ძალიან ბევრ პატარა-პატარა კვადრატებათ.

სელენის მეთოდის სათანადო მოდიფიკაციით კორნმა შესძლო შესანიშნავი შედეგების მიღწევა: მან მიიღო გარკვეული და ნატურალიზმი სურათები რომელნიმე ასე და თასი კოლომეტრის მანძილზე. სელენის მეთოდით შესაძლო გახდა ისეთი ფოტოგრაფიოპორტრეტის მიღება, როგორც იშვითად მიიღება თვით საუკეთესო ფოტოგრაფიულ აპარატთაყ კი. ევროპის მრავალი განხეთები უკვე სარგებლობენ უმათელო ფოტოგრაფიით,



კორნის პარატით გადაცემული სურათი.

შორეულ ქვეყნების და უცხოელ კორესპონდენტთა მიერ დამუშავებულ ილუსტრაციების გამოსაკვევებლად.

მე 3 სურათზე მოყვანილი ფოტოგრაფია გადაცემულია რომიდან ერთტრაში (იტალიის კოლონია აფრიკაში—რომიდანნიმე ათის ვერსის მანძილზე)

დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს ფოტოგრაფიურადიის ჩვენს კომერციულ და ინდუსტრიულურ დროში. აგრეთვე ხელმოწერისა და ფაქსიმის გადაცემის მხრივ ამ დარგში უკვე მიღწეულია ზედმიწევნით სისწორე და პუნქტულობა.

უმათელო ტელეგრაფი, რომელიც ცნობას მოგიტანს დიდი დემონსტრაციების შესახებ, თანვე მოიტანს დაწერილნი სურათს დემონსტრანტთა ბრძოლისას და ბარიკადებისას.

ცნობად და სურათს რომელიმე დიდი ბუნების მოვლენისა სოციალურ, პოლიტიკურ ან სხვა მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ ამიერიდან გამოვიკვეცს უმათელო ტელეგრაფი და ფოტოგრაფია.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმოწერისა და შრიფტის პუნქტუალურად გადაცემის მხრივ—ვაჭრობა მრეწველობის და რაგში.

თუ საკიროა თქვენი ხელმოწერა ან ფაქსიმილე, რომელიმე სერიოზული კომერციული ან სხვა საქმისათვის სადმე შორეულ ქვეყანაში, ამერიკაში ან ავსტრალიაში თქვენ შეგიძლიათ ხელი მოაწეროთ ხელმეკრულებას აქედან 10—12 წუთის განმავლობაში ფოტოგრაფიურადიურადიის საშუალებით. ამ გამაოცრებელი სიღრმე მრავალი ბრწყინვალე პერსპექტივები აქვს მომავალში.

3. კუბარძე.

### გორუს-მოგაგელი კვანდა.

ბლაკნატდან.

ჩვენ გვქონდა შემთხვევა ტე. სისხლის სამართლის სამმართველოს სარეგისტრაციო ბიუროში ბოროტ-მომქმედ ქვეყნისათვის თვლი გადაგვადელო.

პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ბოროტ-მომქმედთა ქვეყნის ზერეულ დაკვირვებინდაც მივიღებთ, ესაა შრომის წყრომობებამდე ვაზაწილება. თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი აპკლეა, საკუთარი სპეციალობა, რომელიც უკლებრივ დახელოვნებამდე აქვთ დაყვანილი. ასეთ შრო-

მის დანაწილებას, ალბათ, ადამ სმიტიც ვერ წარმოიდგენდა მეთვრამეტე საუკუნეში.

ამ მაღალი კვალიფიკაციის ხალხისაგან ზოგიერთს, გარდა სპეციალური ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოებისა, დანაშაულის კვლის დასაფარავად ენოსაც აქვთ განვითარებული. უწყისეთ გონივრულ მოსალოდნელ ხიფათს მუხუზებდა ლიბილით მძიბებელი მილიციის თანამშრომელი.



მავრამ, მიუხედავად იმისა, რომ ქურდები და მკვლელები ასე დახელოვნებული არიან თავიანთ ხელობაში, ბოროტ-მოქმედებათა დიდი უმრავლესობა აღმოჩენილია, თუმცა მძიმებულთა შორის არ არის შერლოკ ჰოლმსისა და პიეტროვის პრეტენზიის ხალხი.

როდესაც ბოროტ-მოქმედთა პორტრეტებს ვათვა-

თანდაყოლილობა, ამტკიცებს ტარდი და ახლა, ბოროტ-მოქმედ ბავშვებზე რომ ვლაპარაკობთ, ტარდის ეს მტკიცება გვაგონდება. ესენი შემთხვევითი ბოროტ-მოქმედნი არიან, მშობლების აღერსა და მზორუნველობის მოკლებულნი... როდესაც მათ იჭერენ და მოვალურსებთან, ისინი გულწრფელად და ცრემლებით თვალზე თავის დანაშაულს აღი-



ვახლი კობახიძე, ბანდითი-მკვლელი.



ივანე პეტროვი. ბინის მსხველქმედ. ტფილისის ხშირი გასტროლოგი.



ს. ხვედელიანი. კომბინატორი. ავს მცირეწლოვანი ქურდების რაზმი.



გიორგი ტიგვივი. ყველაზე თავებიერ ქურდი. ტლანკი. გაუტყებელი.

ლიერებდით და მათ ბიოგრაფიებს ვისმენდით, ჩვენს წინ „ტობიურ“ ბოროტ-მოქმედთა მთელმა რიგმა ვაიარა. ეს ის ხალხია, რომელთაც ლომბროზო ანორმალურ ტიპებათ თვლიდა, ნერვიულ ცენტრების ან სხვა ორგანოების დაზიანების ვაშო. ესენი, რატომღაც გვგონიათ, რომ თანდაყოლილი ბოროტ-მოქმედნი, ქრონიკული ავადმყოფები არიან.

აზლად ეს ხალხი იყო ლომბროზომ რომ დადალა დაბალი რასის ატივისტურად გადაგვარებულ ხალხის სახელით.

შვიი სახის კანი, ალმაცერი თვალები, ხშირი თმა თავზე, და ფიქრობ, რომ თავის ქალაც პატარაა, აი ნიშნები, რომელთაც ლომბროზო ტიპიურ ბოროტ-მოქმედს აუთონებდა. რატომღაც გულის ტვივილით გინდა დიდიერი, რომ ამ ხალხს მალე მოუხდინონ იზოლიაცია საზოგადოებისაგან, ეინაიდან ისინი საშინელებელ წარმადგენენ საზოგადოებისთვის, ეინაიდან ისინი რუგინიან... ბავშვებს, დიან, ბავშვებს.

სწორედ ბოროტ-მოქმედებათა სტატისტიკაში დიდი ადგილი ბავშვებს უჭირავს. არიან დიდი კალიბრის ბოროტ-მოქმედნი, რომელთაც მცირეწლოვანი ბოროტ-მოქმედთა მთელი ჯარი ჰყავთ. უკანასკნელი ისინი წყრონიან და მიაქენენ მობილულ გზით



ტიმიფევი. რუსეთიდან გასტროლოდ ჩამოსული. ქურდობის დახელოვნებული ორგანიზატორი.

რებენ. ეს ბავშვები, ჯერ კიდევ სოციალური ცხოვრების მოუწყობლობის მსხვერპლი არიან და საჭიროა სოციალური ძალების ამუშავება მომავალში მათ საინელი მოქალაქეთა რიგებში ჩასაყენებლად.

კეტლე ამბობდა: „არის ბოუჯეტი, რომელსაც საშინელი სისწორით ისტუმრებენ,—ეს ის ბოუჯეტია, რომელსაც ციხეებს, კატროლებსა და ეშვაოტებს უხდიან... არის ხარკი, რომელსაც ადამიანი უფრო მეტი სისწორით იხდის, ვიდრე ბუნებისა და სახელმწიფო ხარკებს—ეს ის ხარკია, რომელსაც ის ბოროტ-მოქმედებს უხდის...“ და სხ... ჩვენ ვერ გავუყვებით კეტლეს დეტერმინიზმს ბოლომდე, ვინაიდან ასეთი დასკვნების თვითონ ზემოყვანილი ციტატის ავტორსაც შეეშინა. ჩვენ ფიქრობთ, რომ ის ხარკი, რომელიც კეტლეს ბიუჯეტში უცვლილ რაოდენობისაა, შეიძლება, ცვალებადი ვაგზადიო და თუ ნულშიმდე არა, რომელიმე პატარა რიცხვამდე მაინც დიფიყვანოთ.

თუ ამის შემდეგ კიდევ დარჩა ბოროტ-მოქმედება, თუ მართალი შეიქნა ლომბროზო თავის თეორიით ბოროტ-მოქმედებით ქრონიკულ ავადმყოფობის შესახებ, მაშინ სახელმწიფო მათ წინააღმდეგ სხვა ღონისძიებათ მიიღებს. ფსიქიატრიულ საავადმყოფოსა და გამასწორებელ სახლს გარდა სულით ავადმყოფ ბოროტ-მოქმედთათვის



გ. გუშვიი. ქრდი რევიდისტი. აქვს ათამდე რეგისტრაცია სისხლის სამართლის მილიციაში.



პოპოვი. მრავალჯერ გაქცეულ სატუსალიდან. აქვს ოთხჯერ რეგისტრაცია მსხვილ ქურდობაში.



ნ. ვასილივი. ცოლიდან ერთად ქურდების მფარველი და ხელის დამცველი.



ვლ. გელაშვილი. ნაჭურდალი საქონლის გამსაღებელი.

ცხოვრების ბსკრისაგან, სადაც ბავშვები უფროსების ბედს გაიზიარებენ... ბავშვები ბავშვ დიდებს, სოფლებში ქალაქებში, აბრალი ხალხი არისტოკრატისა ბოროტ-მოქმედების ძირითადი კანონი წამბამელობაა და არა

ცალკე დაწესებულება იქნება, სადაც მათ გასწორებაზე და საზოგადოებისთვის დაბრუნებაზე იზრუნებენ.

**5. წულუკიძე.**

# სარეწავი და საშემოსავლო-ქონებრივი

## ბაღსახადების ვადების

# შესახებ

## სს. ფინსახკომის რეგულაციური საკანონმდებლო აქტი ახსნადს სამუშაოთაშორე, რომ

თანხმად აქ. ფინსახკომის კოლეგიის ა. წ. 24 ანრილის № 136 და აქ. ფინსახკომის ა. წ. 14 მაისის № 164 დადგენილებისა, დაწესებულია 1923—1924 წ. წ. ანრილ-სექტემბრის სავადსახადო ნახევარ წელში შემდეგი ვადები.

### 1. სასალონო სარეწავი ბაღსახადისათვის:

1. სავაჭრო და სამრეწველო წარმოებების მეპატრონეთა მიერ ბრუნვის შესახებ (ოქტომბერ-მარტი 1923—1924 წ. წ.) განცხადებების შეტანა სარაიონო კომისიებში არა უგვიანეს 1924 წ. 25 მაისის.
2. ბაღსახადის ფურცლების დაგზავნა გადამხდელთათვის 1924 წელს 20 ივნისს.
3. ბაღსახადის ვადანდა არა უგვიანეს 1924. 15 ივლისისა.

### 2. სასალონო სამუშაო სარეწავი ბაღსახადისათვის:

1. არა უგვიანეს 1924 წ. 15 ივნისისა:

ა) ამ ბაღსახადის აკრეფის ინსტრუქციის 75, 87, 92, 94, 96 და 246 §§-ით. გათვალისწინებული სიების და ცნობების დაწესებულ ფორმით ფინსახკომისათვის წარდგენა.

1. სახლის პატრონების ან მათი მოადგილეების მიერ სახლში მცხოვრებ პირთა შესახებ, 2. სარაიონო აღმასკომების მიერ იმ მოქალაქეთა შესახებ, რომლებიც უნდა იქნენ დაბეგრული ბაღსახადით, 3. კომუნალური მეურნეობის განყოფილების მიერ შენობების და მიწის განაკვეთების მფლობელთა და მოიჯარალოთა შესახებ, 4. ჯანმრთელობის განყოფილების მიერ ექიმების სიების და დამკვეთთა კოლეგიის მიერ კოლეჯის წევრთა სიების, 5. სახელმწიფო დამწვევ ორგანოთა მიერ დამწვევ აგენტების და აკვიზიტორების სიების, 6. სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა სიების გამგეობის და სამქონე წევრთა, აგრეთვე პაის მქონე და ფული შემოსახელთა შესახებ.

ბ) ყველა დაწესებულებათა, წარმოებათა, საზოგადოებათა და მეურნეობათა მიერ დაწესებული ფორმით სიების წარდგენა (ინსტრუქციის 120 §) მუშა მოსამსახურეთა შესახებ, რომლებსაც მიღებული გასამრჯელო ა. წ. თებერვალ-მარტში საშუალოთ უფრიადა თვეში 100 მანეთს და მეტს. ეს სიები წარედგინება იმ ფინსახკომების, რომლებსაც რაიონებში იმყოფება დაწესებულებანი.

გ) დაწესებული ფორმით დეკლარაციების შეტანა (უნდა ხაზინები იქნეს ყველა წყაროებიდან მიღებული შემოსავალი 1923 წ. 1-ლ ოქტომბრიდან 1924 წ. 1-ლ აპრიამდე და დასაბეგრავ კონების ღირებულება) იმ მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა მიერ, რომლებსაც საერთო შემოსავალი აღემატება დაუბეგრავ მინიმუმს (დებულების მე 15 მუხლი და ინსტრუქციის 170 §); ქალაქ ტელისში—450 მან., ბათუმში—400 მან., ქუთაისში, ფოთში და სოხუმში—350 მან., და რესპუბლიკის სხვა ადგილებში—300 მან., მუშა-მოსამსახურენი ვადებულნი არიან შეიტანონ დეკლარაციები იმ შემთხვევაში, როდესაც მათი სამუშაო ხელფასიდან შემოსავალი ნახევარ წლის 1923—1924 წ. წ. ოქტომბერ-მარტში აღემატება 900 მანეთს ან მათ კონდანი შემოსავალი სხვა წყაროებიდანაც და ასეთივე დასაბეგრავი საერთო შემოსავლის მიხედვით.

2. ფინსახკომის განცხადების განცხადების გაცერა იმ მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა შესახებ, რომლებსაც არ შეუძლიათ დეკლარაციები (ინსტრუქციის 48—173 §§; 1924 წ. 25 ივლისის).

3. საკლასო ბაღსახადის განსაზღვრა № 1 და 2 ბარიერებით (ინსტრუქციის 102 §),—1924 წ. 15 ივლისისთვის.

4. საკლასო ბაღსახადის ხაზინაში შეტანა არა უგვიანეს 1924 წ. აგვისტოს 1-ლისა.

5. უწყებების დაგზავნა იმ გადამხდელთათვის, რომლებიც დაიბეგრებიან საერთო შემოსავლის მიხედვით (ინსტრუქციის 222 §) არა უგვიანეს 1924 წ. აგვისტოს პირველსა.

6. საშემოსავლო კონფირმირება ბაღსახადის პირველი ნახევრის ბაღსახადის (ოკლადის) შეტანა ხაზინაში 1924 წელ. სექტემბრის და მეორე ნახევრის 1-ლ ნოემბერს.

### 3. პირდაპირ ბაღსახადთა შესახებ არსებულ კანონთა დამრღვევნი ინჰანან სათანადოთ დაჯარიმებულნი.

4. ბაღსახადის უზრუნველ და მათი უზსახის წარსი ცნობაში უნდა მიღებული იქნას რესპუბლიკის ფინანსთა ინსპექციისათვის ანგარიშები.

ა/კ. ფინსახკომის რეგულაციური საკანონმდებლო—თ. ლონტა.

ბაღსახადთა განყოფილების მმართველი—ი. ჩიქოვანი.



ავსაზეთი ავსაზეთი  
 ა გ ა რ ა კ ი „**ბ ა ბ რ ა**“ ა გ ა რ ა კ ი

შ ა ვ ი ზ ღ ღ ი ს ნ ა პ ი რ ა თ უ მ ზ . პ ი ნ ე ს ო ლ დ ე ნ ა ზ ო რ ს ი ს ს ა ს ა ს ლ ო შ ი

== **გ ა ხ ს ნ ი ლ ი ა** ==

მ ზ ე ნ ი ო რ ა თ მ თ წ ყ თ ბ ღ ღ ი ს ა ნ ა ს ტ ო რ ი უ მ ა ე ბ ი || ს ა ნ ა ს ტ ო რ ი უ მ ა ე ბ ი — პ ა ნ ო მ ო ნ ა ს ტ ი  
 დ ა ა ს ლ ა დ შ ე ე ო თ შ ო ლ ი დ რ ო ე ბ ი თ ი ს ა ხ ტ ო მ რ ო შ ი

**ს ე ზ ო რ ნ ი მ თ ე ლ ი წ ლ ი ს გ ა ნ მ ა ე პ ლ ო რ ბ ა ე ბ ი**

პ რ ი ს : პ ა რ კ ი , პ ლ ი ა ე ე , წ ყ ა ლ ს ა დ ნ ი , ე ლ ე მ ე ტ რ ო ნ ი ს გ ა ნ ა თ ე ბ ა , კ ა ნ ა ლ ი ზ ა ც ი ა .

**ს ა დ ი ლ ი** მ ს უ ე ე . გ ე მ რ ი ე ლ ი დ ა **ს ა დ ი ლ ი**  
 ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი

**გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი** პ რ ო ფ ე კ ა ე შ ი რ თ ა წ ე ვ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს — 1 5 ჩ ე რ ვ ო ნ ე ც ი , კ ე რ ძ ო პ ი რ თ ა -  
 თ ვ ი ს — 2 1 ჩ ე რ ვ ო ნ ე ც ი თ ე ვ შ ი

**ხ რ ო გ ა ე ბ ი ს მ ი ლ ა ე ბ :** ს ო ხ უ მ ი — ს ა ე კ ო რ ო რ ტ ო ს ა მ მ ა რ თ ე ე ლ ო . მ ო ს კ ო ვ ი — მ თ ა ე ვ ა რ ი ს ა ე კ ო რ ო რ ტ ო ს ა მ -  
 მ ა რ თ ე ე ლ ო . ტ ვ ი ლ ა ს ი , ა ე ბ ა ზ ე თ ი ს ს ა ე კ ო რ ო რ ტ ო ს ა მ მ ა რ თ ე ე ლ ო ს რ წ მ უ ნ ე ბ ე -  
 ლ ი ე ე ქ . ა . ს . ა რ ჯ ე ე ნ ი ძ ე , ს ა ს ა მ ა რ თ ო ლ ო ს ქ . № 1 5 .

ქ ა ლ ა ე თ ო გ ი ლ ი ს უ ი ე ლ ი ს ა გ ა ღ ი ს ქ ო ზ ა ზ ე № 1 9 6 გ ა ი ს ხ ნ ა

ა მ ხ ა ნ ა ე ო ზ ა

— **„ ლ უ რ ს მ ა ნ ი “ - ს** —

**ლ უ რ ს მ ნ ი ს დ ა მ ა ვ თ უ ლ ი ს ქ ა რ ხ ა ნ ა .**

მ ი ი ღ ე ბ ა დ ა კ ვ ე თ ე ბ ი ე ო ვ ე ლ კ ვ ა რ ი ს ო მ ძ ი ს ლ უ რ ს მ ა ნ ს ე  
 დ ა მ ა ვ თ უ ლ ს ე . ლ უ რ ს მ ნ ე ბ ი ს დ ა მ ა ვ თ უ ლ ი ს გ ა ყ ი -  
 ღ ვ ა ქ ა რ ხ ა ნ ა შ ი , მ ი ი ღ ე ბ ა ა გ რ ე თ ე ე მ ა ვ თ უ ლ ე ბ ი უ ფ რ ო  
 მ ე ს ა ვ ი წ რ ო ე ბ ლ ა თ დ ა ა გ რ ე თ ე ე ლ უ რ ს მ ნ ე ბ ა თ დ ა ს ა -  
 ჭ რ ე ლ ა დ .